ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

მაია კეჟერაძე

საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონა და მთავარი გამოწვევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი

საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2021

აბსტრაქტი

სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაიდენტიფიცირებელ ნიშანს მისი ტერიტორია და სახელმწიფო საზღვრები წარმოადგენს. საზღვრების გამოკვეთა მრავალმხრივ აუცილებელ ასპექტს წარმოადგენს. უპირველესად საზღვრები გამოყოფს სახელმწიფოს ტერიტორიას სხვა ქვეყნის ტერიტორიისაგან, ასევე ამ საზღვრებს შიგნით ხორციელდება ქვეყნის იურისდიქცია, ეკონომიკური მოქმედების არეალი და სახელმწიფოს მოქალაქეობის საკითხები.

თავდაპირველად, სანამ სახელმწიფოებრიობის ისტორიის წერას დაიწყებდა მატიანე განიხილებოდა საზღვრების არაზუსტი გაგება. საზღვარი გავლებული იყო თვალთახედვის არეალის, გეოგრაფიული ნიშნების (მდინარეები, უღელტეხილები...) და სხვა ასეთი ობიექტების მიხედვით, თუმცა ომიანობის დროს როცა მტერი მოადგებოდა ხოლმე ქვეყნის საზღვარს რათქმაუნდა განიხილებოდა თავდასხმად. აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება - მტრის შემოსევა განიხილებოდა თავდასხმად, მაგრამ რადგან საზღვრების პრინციპი არ იყო კანონის რანგში აყვანილი და არ იყო საერთაშორისო სამართლებრივი აზროვნება მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ეს შემოსევა საერთაშორისო დანაშაულად არ განიხილებოდა. თანამედროვე მსოფლიოში სხვისი ტერიტორიის საზღვრების უკანონოდ გადალახვა, ან თვითნებურად შეჭრა სხვისი სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, საერთაშორისო რანგის დანაშაულია და ექვემდებარება სხვადახვა ტიპის სანქცირებას.[1]

სამაგისტრო ნაშრომში საუბარია ერთის მხრივ სახელმწიფოს საზღვრების შესახებ, სადაც განმარტებულია საზღვრების ყველა არსებული ტიპი და სახე, ხოლო თემის მთავარი მიმართულება ამ საზღვრებზე განლაგებული საბაჟო სისტემების ანალიზი გახლავთ.

თანამედროვე მსოფლიოში საბაჟო სისტემების არსებობა მეტად აქტუალური და მზარდი ტენდენციების მქონე სისტემაა. საბაჟო კონტროლის ზონების ეფექტურ მუშაობაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველო დღეს საბაჟო კონტროლის ზონების მუშაობისა და განვითარების კუთხით მრავალი ახალი გამოწვევის წინაშე დგას. ევროინტეგრაციის მიზნებისათვის საქართველოს საბაჟო ზონები საჭიროებდა მოდერნიზაციას, რომლის პროცესები საქართველოში ბოლო ათწლეულია დაიწყო.

თანამედროვე გამოწვევებზე პასუხის გასაცემად ერთის მხრივ აუცილებელია მსოფლიოში მიღებული და აპრობირებული სისტემების დანერგვა და მეორეს მხრივ საკადრო პოლიტიკის გადახედვა. მებაჟე არის პირი რომელიც მესაზღვრესთან ერთად პირველი ეგებება ქვეყანაში შემოსულ სტუმარს და პირველი შთაბეჭდილებაც ქართული კულტურის, განვითარების დონისა და ქვეყნის პროგრესულობის შესახებ ამ ორი საჯარო მოხელის პროფესიონალიზმის პროპორციულად ექმნება შემოსულ სტუმარს.

ამდენად სამაგისტრო ნაშრომი აერთიანებს რამოდენიმე საკვანძო საკითხს რათა სრულყოფილად მოხდეს სრული სურათის შექმნა ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანესი საჯარო სამსახურის შესახებ.

მაია კეჟერაძე

Abstract

One of the most important identifying marks of a state is its territory and state borders. Drawing boundaries is a multifaceted essential aspect. First of all, the borders separate the territory of the state from the territory of another country, as well as the jurisdiction of the country is exercised within these borders, area of economic activity and issues of state citizenship.

Initially, before beginning to write the history of statehood, the Chronicle considered an inaccurate understanding of borders. The border was crossed according to the area of view, geographical indications (rivers, passes ...) and other such objects, however, during the war, when the enemy came to the border of the country, it was certainly considered an attack. One circumstance is important here - the invasion of the enemy was considered an attack, but since the principle of borders was not enshrined in law and international legal thinking was not clearly established, this invasion was not considered an international crime. In the modern world, illegally crossing the borders of another's territory, or arbitrarily invading the borders of another's state, is a crime of international rank and is subject to various types of sanctions.

The master's thesis on one hand deals with the borders of the state, which explains all the existing types of borders, and the main direction of the topic is the analysis of customs systems located on these borders.

The existence of customs systems in the modern world is a system with very current and growing trends. The effective development of customs control zones depends on the economic development of the country, ensuring peace and security.

Georgia today faces many new challenges in terms of the operation and development of customs control zones. For the purposes of European integration, Georgia's customs zones needed to be modernized, the processes of which have begun in Georgia in the last decade.

In order to respond to modern challenges, it is necessary to introduce world-accepted and proven systems and, on the other hand, to review personnel policy. A customs officer is a person who, together with a border guard, is the first to greet a guest entering the country and also has a first impression of Georgian culture, level of development and about the progress of the country in proportion to the professionalism of these two public officials is encountered by the incoming guest.

Thus, the master thesis combines several key issues to fully create a complete picture of this most important public service in the country.

Maia Kezheradze

შინაარსი

ანოტაცია ქართულად

ანოტაცია ინგლისურად

შესავალი ---------- 1

თავი I სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრების ჩამოყალიბების პროცესი ---------- 5

1.1.ჯგუფური საზოგადოებიდან შემოსაზღვრულ სახელმწიფომდე ---------- 5

1.2.საქართველოს ადრეკლასობრივი სახელმწიფო ტერიტორიების ჩამოყალიბება -- 7

თავი II საქართველოს სასაზღვრო ზოლის ფორმირება ---------- 11

თავი III სახელმწიფო საზღვარი და მარეგულირებელი საჯარო სტრუქტურები -------- 16
(საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და შემოსავლების სამსახური)

თემა IV საქართველოს საბაჟო გამშვები პუნქტები და პირველადი საბაჟო პროცედურები ---------- 30

თემა V სასაქონლო ოპერაციები ---------- 39

დასკვნა ---------- 50

დანართი N1 საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის ფუნქციები ---------- 56

დანართი N2 საბაჟო შეღავათები ---------- 58

ბიბლიოგრაფია ---------- 61

შესავალი

საერთაშორისო სამართალი, სახელმწიფოს განმარტებისას, ასევე იძლევა მტკიცე და გარკვეულ ახსნას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო მიზნებისათვის სახელმწიფო უნდა იყოს სუვერენული და აქედან გამომდინარე სახელმწიფოს[i] სუვერენიტეტი არის ძირითადი მოცემულობა, რომლითაც სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე იძენს სუბიექტუნარიანობას.[1]

საკუთრივ სიტყვა სუვერენიტეტი, როგორც საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ცნება, უკავშირდება **ჟან ბოდენის**[1] სახელს. პირველ რიგში სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს ნიშან-თვისებას, რომელიც გულისხმობს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და აღნიშნული სახელმწიფოს უზენაესობას თავის ტერიტორიაზე. ანუ ეს ცნება, თავისთავად მოიაზრებს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მის უზენაესობას საშინაო საქმეებში და ასევე დამოუკიდებლად მოქმედებას საგარეო ასპარეზზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სუვერენიტეტის ცნება არ გულისხმობს ამა თუ იმ სახელმწიფოს აბსოლუტურ და შეუზღუდავ დამოუკიდებლობას. იგი გულისხმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყანა არ არის დაქვემდებარებული სხვა სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებისადმი და არ ემორჩილება სხვა მართლწესრიგს, გარდა საერთაშორისო სამართლისა, რომლის ძირითადი პრინციპია სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა.

როცა თანამედროვე სახელმწიფოზე ვსაუბრობთ აუცილებელია ვიცოდეთ თუ როგორ პრინციპებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს იგი. აუცილებელია ერთმანეთისგან ვასხვავებდეთ ,,სახელმწიფოსა“ და ,,ხელისუფლების“ ცნებებს, რამეთუ ,,სახელმწიფო“ წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია სუვერენიტეტი და ძალაუფლება კონკრეტულ ტერიტორიასა და მასზე განსახლებულ ხალხზე, ხოლო ,,ხელისუფლება“ არის ინტიტუტი, რომელიც ქმნის და აღასრულებს აღნიშნული სახელმწიფოს შიგნით, ახორციელებს საგარეო და

[1] **ჟან ბოდენი** - (1530-1596 წწ.) - ფრანგი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, სამართლის პროფესორი და მოაზროვნე.

საშინაო პოლიტიკას და ახორციელებს კონტროლს სახელმწიფოში ადამიანთა უფლებებისა და კანონების დაცვაზე.[2]

იმისათვის რომ ხელისუფლებამ ეფექტურად შეასრულოს მმართველობითი ფუნქციები, იგი დაყოფილია აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებად. აღნიშნულ სექტორებში დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ როგორც თავიანთ კომპეტენციაში შემავალ პრობლემათა გადაწყვეტა, ასევე შესაბამისი შტოს სწორი და ეფექტური ფუნქციონირება.

ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველობის სისტემა და კანონმდებლობა უზენაესია მხოლოდ აღნიშნული ქვეყნის ოფიციალურად აღიარებულ საზღვრებში, რომელიც ასახულია ამავე სახელმწიფოს კანონმდებლობაში. სახელმწიფო უფლებამოსილია დამოუკიდებელი საშინაო პოლიტიკა გაატაროს სწორედ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

საქართველოს კანონში ,,სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ ვკითხულობთ: ,,საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს – გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან“.[7] ამავე მუხლის ,,დ“ და ,,ე“ ქვეპუნქტებში ვხვდებით განმარტებას სასაზღვრო ზონისა და სასაზღვრო ზოლის შესახებ:

სასაზღვრო ზონა, ეს არის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან სანაპირო ზოლიდან საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემავალი, არაუმეტეს 5 კილომეტრის სიგანის სახმელეთო ზოლი, აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომის), რკინიგზის სადგურის, საერთაშორისო სამდინარო და საზღვაო პორტის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, რელიეფის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე სასაზღვრო ზონა შეიძლება განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან 30 კილომეტრით; ხოლო სასაზღვრო ზოლი წარმოადგენს არა უმეტეს 500 მეტრის სიგანის სასაზღვრო ზონის ნაწილს, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს“[8]

საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკას, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, ასევე ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი. ხოლო საქართველოს მთავრობა, საქართველოს და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ სასაზღვრო პოლიტიკის გატარებას საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება და ეკონომიკური აღმავლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო საზღვრის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდისა და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისათვის აუცილებელია მტკიცე სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარებასა და კონტრაბანდასა და სხვა ტრანსსასაზღვრო ორგანიზებულ დანაშაულთან ეფექტურ ბრძოლას. იქნება ეს ადამიანთა არალეგალური მიგრაცია თუ ქიმიური მასალებით, ნარკოტიკებით, იარაღით, ფსიქოტროპული ნივთიერებებითა და პრეკურსორებით ვაჭრობა. ასევე ორმაგი დანიშნულების საქონელის უკანონო ბრუნვის, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის აღკვეთა, ან თუნდაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ცხოველთა და მცენარეთა სიჯანსაღის წინააღმდეგ მიმართული სხვა ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების გათვალისწინებით.

დღესდღეობით ჩვენი ქვეყანა თამამ ნაბიჯებს დგამს სასაზღვრო მართვის სტრატეგიის გაუმჯობესებისკენ. ეკონომიკური საზღვრის კონტროლის ძველი სისტემა მეტად კორუმპირებული სქემა იყო, რომლის ამოძირკვასა და ახალი სისტემის დანერგვასაც, წლების განმავლობაში, არცთუ უშედეგოდ ცდილობდა ჩვენი სახელმწიფო. არსებული მდგომარეობით ჩვენი საბაჟო კონტროლის ზონები თავისი გამჭირვალობითა და ევროპულ სტანდარტებზე მორგებული ფუნქციონირების სისტემით, ბევრ სხვა განვითარებად თუ განვითარებული ქვეყნის შესაბამის სისტემებს უსწრებს. აღნიშნულ სფეროში მიმდინარე და გატარებული რეფორმები ხელს უწყობს ტვირთების კანონიერ გადაადგილებასა და ქვეყნის

ეკონომიკის სტაბილიზაციას. საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირის შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულ ერთეულს. შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო სფეროსა თუ საბაჟო გამშვებ პუნქტებში გატარებული პოლიტიკა სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროს წარმოადგენს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ისტორიულ რაკურსში განიხილოს სასაზღვრო კონტროლის ზონაში, საბაჟო დეპარტამენტის როლი. ასევე მისი განვითარების და მმართველობის სიტემის დახვეწის მექანიზმები. ხაზი გაესვას აღნიშნული სექტორის მაღალ მნიშვნელობასა და როლს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟსა და მისი ეკონომიკის სტაბილიზაციაში.

ჩვენი ქვეყანა უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. თუკი ჩვენ გვსურს კიდევ უფრო მეტად განვვითარდეთ, ამისთვის აუცილებელია ფეხი ავუწყოთ თანამედროვე მსოფლიოს მუდმივად განახლებად და მაქსიმალურად კომფორტულ მომსახურების სფეროს. **სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობაც** სწორედ ამაში მდგომარეობს - რაც უფრო მეტად ვცდილობთ წინსვლას, მით უფრო მეტად უნდა დავხვეწოთ მიზნამდე მისასვლელი გზები.

აღნიშნული **სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს** წარმოადგენს შედარებითი ანალიზი ძველ და ახალ საბაჟო მექანიზმებს შორის. იმ რისკებისა და საფრთხეების გაანალიზება, რაც დღესდღეობით არსებობს საბაჟო სამსახურის პრაქტიკული საქმიანობის დონეზე და მსჯელობა საკითხზე თუ რამდენადაა შესაძლებელი, ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა აღნიშნული სექტორის მმართველობითი მექანიზმის გაუმჯობესების გზით.

თავი I

სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრების ჩამოყალიბების პროცესი

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოებრიობის გაგების საკმაოდ მაღალი სტანდარტები არსებობს, რომელიც დროთა განმავლობაში მოდერნიზდებოდა. საინტერესოა კაცობრიობის საწყისი პერიოდის მიმოხილვა, რომელიც შესაძლებელს გახდის ქრონოლოგიურად ჩამოვაყალიბოთ პირველყოფილი საზოგადოებიდან დღემდე განვითარების რა გზა გაიარა კაცობრიობამ, მანამ სანამ სახელმწიფოს გაგების სრულყოფილ მოცემულობას მიიღებდა. აღნიშნული მიდგომა კი სამაგისტრო ნაშრომის შინაარსის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს .

სახელმწიფო საზღვრების რეგულაციების ისტორია.

1.1. ჯგუფური საზოგადოებიდან შემოსაზღვრულ სახელმწიფომდე

სახელმწიფოებრიობის ისტორია დაკავშირებულია ადამიანის მიერ სოციალური ურთიერთობების გამყარებასთან. ცნობილია რომ უძველესი დროიდან, ადამიანები მარტივად ჩასწვდნენ იდეას ,,ძალა ერთობაშია“ და რომ ერთად ყოფნა გადარჩენის და იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი გზაა. ამიტომ ისინი ყველაფერს ჯგუფებად აკეთებდნენ, იქნებოდა ეს ნადირობა თუ სხვა ძირითადი სამუშაოების შესრულება. ასე შეიქმნა ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც 20-30 კაცისგან შედგებოდა და რომელთა ძირითადი საქმიანობაც ნადირობა და შემგროვებლობა იყო.

დროთა განმავლობაში, თანდათან იხვეწებოდა ადამიანის ცხოვრების პირობები და მასთან ერთად, იცვლებოდა ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების წესიც. კერძოდ კი, გამოიყო ის ძირითადი მახასიათებელი, რასაც სისხლით ნათესაობა ეწოდებოდა და რომელიც გახდა წინაპირობა იმისა, რომ ადამიანთა ჯგუფები

ჩამოყალიბებულიყო ნათესავთა, ერთი გვარის წარმომადგენლებად. მოგვიანებით ადამიანებმა მიწათმოქმედებასაც მიჰყვეს ხელი, რამაც ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას შეუწყო ხელი და გაჩნდა ე. წ პირველადი სამოსახლოები ანუ სოფლები. მეურნეობის განვითარება და საარსებო პირობების გაუმჯობესება კი იწვევდა ადამიანთა რაოდენობის ზრდას და მათი განსახლების არეალის გაფართოებას.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანი ქვის იარაღის გამოყენებასთან ერთად იწყებს რკინის დამუშავებას. მეურნეობის წინსვლა და განვითარება გვაროვნული თემის დაშლას იწვევს. გვარში ყოფნა აუცილებლობას აღარ წარმოადგენს, რადგან ცალკეულ ოჯახებს უკვე დამოუკიდებლად შესწევთ იმის უნარი, რომ გაუძღვნენ საკუთარ მეურნეობებს. ადამიანებს შეუძლიათ უკვე სხვა ტერიტორიაზეც განსახლდნენ, საკუთარი სურვილისამებრ და მათ ახლა ერთმანეთთან აკავშირებთ არა ნათესაური კავშირი, არამედ მეზობლობა ანუ ტერიტორიული სიახლოვე. გვაროვნული თემი იცვლება სამეზობლო თემით. სწორედ ამ დროს ჩნდება კერძო საკუთრება და თავს იჩენს სოციალური უთანასწორობის პრინციპი.

მეურნეობის განვითარების მაღალმა დონემ ადამიანს საშუალება მისცა შეექმნა ჭარბი პროდუქტი და სანამ ეს პროდუქტი თემის საერთო საკუთრება იყო მისი წევრებიც თანასწორნი იყვნენ, რადგან მოქმედებდა თანასწორად განაწილების პრინციპი. კერძო საკუთრების წარმოშობა კი თავისთავად გულისხმობდა უთანასწორობას. ამ დროს მოსახლეობის ნაწილი მდიდრდება, ნაწილი კი ღარიბდება. ღარიბი იძულებულია მდიდარს სანაცვლოდ რამე შესთავაზოს, რათა მისგან დახმარება მიიღოს. ტომის არისტოკრატია წინაურდება. ტომის ბელადი და მასთან დაახლოებული წრე ცდილობს ბელადის არჩევითობა მემკვიდრეობითი გახადონ და ამის გამო თავს იჩენს ტომთა შორის შეტაკებები. თუ ადრე გამარჯვებული ტომის წევრები ალაფს თანაბრად ინაწილებდნენ ახლა დიდი წილი ისევ არისტოკრატიას რჩებოდა. დამარცხებული ტომის დატყვევებულ წევრებს მონებად აქცევდნენ. ძლიერი სუსტს იმორჩილებდა და ასე იქმნებოდა ტომთა კავშირები, ანუ ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური წყობა ახალ ეტაპზე გადავიდა.

მიუხედავად იმისა რომ ნათლად იკვეთება სოციალურ-პოლიტიკური წყობის დეტალები, ამ პერიოდში სახელმწიფოებრიობის და მისი მნიშვნელობის ფართო

არეალის შესახებ ცნობებს ვერ ვპოულობთ. კონკრეტულად არც ის ვიცით სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა ამ სოციალური ჯგუფების უფლებამოსილება.

1.2. საქართველოს ადრეკლასობრივი სახელმწიფო ტერიტორიების ჩამოყალიბება

სახელმწიფოებრიობის პირველ ნათელ დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ძვ. წ. აღ-ით XIII-XII ათასწლეულებში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ორი ადრეკლასობრივი სახელმწიფოს დიაოხისა და კოლხას წარმოშობა.

დიაოხი, იგივე დაიაენი და ტაოხი ქართველ ტომთა ძველაღმოსავლური ტიპის სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე წარმოიქმნა. იგი თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე მდებარეობდა. სამხრეთით მის საზღვრებში დღევანდელი ქალაქი არზრუმის მიდამოებიც შედიოდა. ჩრდილოეთით ჯავახეთი ესაზღვრებოდა, ჩრდილო-დასავლეთით კი მისი გავლენა შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

დიაოხის შესახებ ცნობებს ვპოულობთ ასურულ, ბერძნულ და ურარტულ წარწერებში. აღნიშნული ქვეყნები იმ დროის ცნობილი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები იყო და ის ფაქტი, რომ ისინი ფლობდნენ ცნობებს დიაოხის შესახებ ნიშნავს, რომ დიაოხის ცნობადობისა და უფლებამოსილების არეალი საკმაოდ ფართო იყო. დიაოხში ძვ. წ. აღ-ით 1112 წელს ილაშქრა ასურეთის მეფემ, ხოლო მოგვიანებით ურარტუს მეფე მენუამ და როგორც წყაროები გვამცნობს მენუამ დაიმორჩილა დიაოხის მეფე უტუფურსი. დიაოხი დაასუსტა ურარტუს შემოსევებმა, თუმცა მის საბოლოო განადგურებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მის მეზობელ, კიდევ ერთ ქართველურ სამეფოს, კოლხეთს.

კოლხეთის სამეფოს შესახებ ცნობებს ვხვდებით ძველ ლურსმნულ წარწერებში. ურარტულ წყაროებში მოხსენიებულია კოლხეთის არაერთი დიდი ქალაქი. ამავე წყაროების ცნობით კოლხეთის სამეფოს სათავეში ედგა მეფე, ხოლო მის ცალკეულ პროვინციებს მეფისნაცვლები განაგებდნენ. არქეოლოგიურ

წყაროებზე დაყრდნობით კი თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორც დიაოხის ასევე კოლხეთის სამეფოების ეკონომიკურ სიძლიერეზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლხებს გააჩნდათ თავიანთი ფულადი ერთეული, რომელსაც კოლხური თეთრი ეწოდებოდა. [7]

კოლხეთიდან და დიაოხიდან დაწყებული, დღემდე ხშირად იცვლებოდა და სამწუხაროდ დღესაც იცვლება საქართველოს როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური საზღვრები. მომხდარ და მიმდინარე ცვლილებებს კი საკმაოდ კარგად ხსნის სახელმწიფოს წარმოშობის თეორიათაგან ერთ-ერთი, რომელსაც სახელმწიფოს წარმოქნის ეკონომიკური თეორია ეწოდება.

აღნიშნული თეორიის ავტორები არიან კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. სახელმწიფოს წარმოშობის ეკონომიკური თეორია გულისხმობს, რომ სახელმწიფო ჩამოყალიბებულია პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შედეგად. ეკონომიკურმა განვითარებამ თავის მხრივ მოითხოვა მმართველობის ფორმის დახვეწა სახელმწიფოსა და სამართლის გაჩენის გზით და საზოგადოებაში წარმოიშვა სოციალური ცვლილებები.

აღნიშნული თეორიის ფუძემდებლები თვლიდნენ რომ სახელმწიფოს წარმოშობა მოხდა ეტაპობრივად. თავდაპირველად გაჩნდა შრომის დანაწილების პრინციპი. საზოგადოების ნაწილი დაკავდა მესაქონლეობით და ხელოსნობით, ნაწილი მიწათმოქმედებით, ხოლო სავაჭრო უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებმა ვაჭრობას მიჰყვეს ხელი. ყოველივე ამის შედეგად სახელმწიფოში დაგროვდა ჭარბი პროდუქტი, რამაც ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას არამარტო რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოში, არამედ სხვა სახელმწიფოებთანაც, დამყარდა და თანდათან გაღრმავდა ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ და მომიჯნავე ქვეყნებთან, მოგვიანებით კი სხვა კონტინენტზე არსებულ სახელმწიფოებთანაც. [6]

გარკვეული დროის შემდეგ, იმ ადამიანებმა, რომლებიც შრომის მხოლოდ ერთ დარგში იყვნენ წარმოდგენილნი დაიწყეს სხვა დარგის წარმომადგენელთა საქმიანობის შესწავლა, რათა გამხდარიყვნენ უფრო კონკურენტუნარიანი და დაეგროვებინათ უფრო მეტი მატერიალური დოვლათი.

საბოლოო ჯამში კონკურენციამ გამოიწვია საზოგადოების დაყოფა მეტი და ნაკლები სიმდიდრის მფლობელებად, ანუ ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად. შემდგომ ეტაპზე გაჩნდა სახელმწიფო და კერძო საკუთრების ინსტიტუტი. ექსპლუატატორთა შესანარჩუნებლად აუცილებელი გახდა მმართველობის გარკვეული მექანიზმი და საზოგადოების სამართავად გარკვეული წესების შემუშავება, რომლის აღსრულებაშიც მონაწილეობა უნდა მიეღო ისეთ ინსტიტუტს როგორიცაა ჯარი, ხოლო მართლწესრიგის დამრღვევთათვის განისაზღვრა გარკვეული სასჯელი. [6]

მარქსისა და ენგელსის მიდგომა საკმაოდ ხისტია სახელმწიფოს წარმოშობის თეორიებს შორის, თუმცა იგი ერთადერთია რომელიც ხაზს უსვამს ეკონომიკური მდგრადობის უპირატეს როლს სახელმწიფოს მართვასა და ფუნქციონირებაში, რაც დღემდე რჩება თანამედროვე მსოფლიო ქვეყნების უდიდეს გამოწვევად.

ამრიგად, ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე დასკვნის სახით მართებულად მიგვაჩნია ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ტერიტორიისა და სახელმწიფო საზღვრის განმარტება:

სახელმწიფო ტერიტორია არის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ტერიტორია, რომელზეც ის ახორციელებს თავის ტერიტორიულ უზენაესობას. სახელმწიფოზე მიკუთვნებულობა და მისი უზენაესობა კი სახელმწიფო ტერიტორიის ძირითადი ნიშნებია. სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენლობაში შედის :

- ✓ **ხმელეთი** - დედამიწის სახმელეთო ზედაპირი (კუნძულების ჩათვლით);
- ✓ **საწყლო ტერიტორია (აკვატორია)** - შიდა წყლებისა და ტერიტორიული ზღვის ჩათვლით; წიაღისეული, რომელიც მოთავსებულია სახმელეთო და საწყლოტერიტორიის ქვემოთ, ასევე კონტინენტური შელფის წიაღისეული. მათი სიღრმე არ იზღუდება და თეორიულად დედამიწის ცენტრამდე ვრცელდება;

საჰაერო ტერიტორია - ჩამოთვლილი სივრცეების თავზე მდებარე საჰაერო სივრცე, რომელიც ადგილობრივი სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება [4]

სახელმწიფო საზღვარი არის ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის არსებული ზოლი, რომელიც გამოყოს სახელწიფოებს ერთმანეთისაგან. საზღვრების რამოდენიმე ტიპის კლასიფიკაცია არსებობს.

- ✓ **ფიზიოგრაფიული, ანთრონტროპოგრაფიული, გეომეტრიული და კომპლექსური**.
- ✓ ***ფიზიოგრაფიული საზღვრები*** *მიჰყვება ტერიტორიის გამოკვეთილ ფიზიკურ ნიშნებს, მაგალითად მდინარეს, ქედს, ტბის ნაპირს და ა. შ.*
- ✓ ***ანთრონტროპოგრაფიული საზღვრები*** *ადამიანის ხელით შექმნილ ნიშნებს მიჰყვება. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, რკინიგზა.*
- ✓ ***გეომეტრიული საზღვრები*** *მისდევს გრძედს ან განედს, როგორც მაგალითად, ეგვიპტის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრები.*
- ✓ ***კომპლექსური საზღვრები*** *ზემოაღნიშნულის ნებისმიერ კომბინაციას წარმოადგენს.*

თავი II

საქართველოს სასაზღვრო ზოლის ფორმირება

მანამ სანამ საბაჟო კონტროლი ზონის შესახებ დავიწყებთ საუბარს, მნიშვნელოვანია განიმარტოს სასაზღვრო ზოლის საკითხები და განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში. საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მეტად ხშირად ეცვლებოდა სასაზღვრო ზოლი, რაც ძირითადად განპირობებული იყო მუდმივი შემოსევებითა და ომებით. ისტორია ყოველ ჯერზე ტერიტორიის გაფართოების შესახებ ინფორმაციას სამწუხაროდ ვერ გვაწვდის, რადგან ჩვენს ქვეყანას უფრო ხშირად ართმევდნენ ტერიტორიებს, ართმევდნენ და აცილებდნენ დედა სამშობლოს მკვიდრ მოსახლეობას, რომლებთაც სხვა კულტურასა და სხვა საზოგადოებაში უწევდათ დარჩენილი ცხოვრების გატარება.

ტერიტორიების ცვალებადობა გამოწვეული იყო შიდა ომებითაც, ხშირად საქართველო სამეფო-სამთავროებად იყოფოდა, რაც კიდევ უფრო უმარტივებდა მტერს ჩვენი ტერიტორიების მითვისების საქმეს.

სახელმწიფო საზღვრების ცვლილებები XX საუკუნის პერიოდში მწვავედ დადგა. აღნიშნული ტერიტორიული ცვლილებები გამოიწვია პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა, 60-იან წლებში მხოლოდ აფრიკაში ჩვიდმეტამდე ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, საბჭოთა კავშირის დაშლამ, რამაც საერთაშორისო არენაზე თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა განაპირობა, ყოველივე ამან გავლენა იქონია საქართველოს საზღვრებზეც. ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის შეჩერებული და ისტორიული დინებით მიდის ძალთა წონასწორობის ფონზე.

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფო ტერიტორიების საკითხები მთელი რიგი საერთაშორისო თუ შიდა საკანონმდებლო აქტებითაა გამყარებული. ამ მხრივ აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომელიც შვიდ საერთაშორისო პრინციპს ეფუძნება, რომელსაც ჰელსინკის დასკვნითი აქტით კიდევ სამი დაემატა. აქედან ორი კი სწორედ ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობას ეხება. [3]

თანამედროვე საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა შემდეგნაირად გამოიყურება. ჩვენი ქვეყანა მდებარეობს ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. **მისი სასაზღვრო ხაზის საერთო სიგრძე შეადგენს 1916 კმ -ს, აქედან 308 კმ მოდის საზღვაო და 1608 კმ სახმელეთო საზღვარზე.** საქართველოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კავკასიონის ქედი, სამხრეთიდან მცირე კავკასიონის მთიანეთი, დასავლეთიდან შავი ზღვა ,ხოლო აღმოსავლეთიდან რუსეთის ფედერაცია (დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა) და აზერბაიჯანის რესპუბლიკა. სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნებია სომხეთის რესპუბლიკა და თურქეთი.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა დიდ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის და მთლიანად შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ განვითარებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო კვლავ გამოჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტი.

საქართველოს დღევანდელი საზღვრები მისი ისტორიული წარსულითაა განპირობებული. თურქეთის რესპუბლიკასთან სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია[2]-დემარკაცია[3] დასრულებულია.

თურქეთის რესპუბლიკასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დადგენილია ,,საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“ 1992 წლის 30 ივლისს დადებული ხელშეკრულებით.[9] ხოლო საქართველოს სახელმწიფო

---

[2] **დელიმიტაცია**-საზღვრის დადგენის პროცესი, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებაში დაწვრილებით აღიწერება, თუ სად გადის სასაზღვრო ზოლი და ამ აღწერის შესაბამისად კეთდება აღნიშნვა რუქაზე, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

[3] **დემარკაცია** - სახელმწიფო საზღვრის ხაზის დადგენა ადგილზე (სპეციალური სასაზღვრო ნიშნების საშუალებით)

საზღვრის დანარჩენი ნაწილი მეზობელ ქვეყნებთან საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვრის ფუნქციას ასრულებდა, ვინაიდან ამ პერიოდისთვის რუსეთის ფედერაცია და სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები, ისევე როგორც საქართველო, საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ. აღნიშნულ ქვეყნებთან სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის შესახებ თანამშრომლობა დღემდე გრძელდება და შესაბამისად, დემარკაცია არ განხორციელებულა.

1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო პრაქტიკული მუშაობა ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების დადგენის მიზნით. სამ მეზობელ ქვეყანასთან შეიქმნა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის კომისიები. რუსეთის ფედერაციასთან 1993 წელს, სომხეთის რესპუბლიკასთან 1994 წელს და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან 1994 წელს.

დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესის დაჩქარების მიზნით და ასევე კოორდინაციის გასაუმჯობესებლად, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 17 მარტის №208 ბრძანებულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია, მეზობელ ქვეყნებთან სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის და ასევე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შავ ზღვაზე, ტერიტორიული ზღვის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის დელიმიტაციის მიზნით.[9]

დღესდღეობით, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირების გამო, რუსეთის ფედერაციასთან აღნიშნულ საკითხებზე აუცილებელია თანამშრომლობა. სხვა მეზობელ ქვეყნებთან ამ მიმართულებით თანამშრომლობა გრძელდება.

საბაჟო გამშვები პუნქტების გახსნის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები გაფორმდა რუსეთის ფედერაციასთან 1994 წელს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან 1993 წელს, ხოლო თურქეთის რესპუბლიკასთან 1996 წელს.

საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, მრავალ საერთაშორისო პროექტში ჩართვისა და ამ პროექტებში წამყვანი როლის დაკავების საშუალება გააჩნია. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა გახდა ასევე

მიზეზი იმისა რომ საქართველომ დაიბრუნა სატრანზიტო ფუნქცია, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რეგიონის განვითარებაში ქვეყნის უდიდეს მნიშვნელობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს როლი შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის თვალსაზრისით, რადგანაც შავი ზღვის სატრანსპორტო კომუნიკაციები აკავშირებს ევროპას აზიასთან და ახლო აღმოსავლეთთან. საქართველოს სატრანზიტო როლის ზრდა კი გახდა წინაპირობა საქართველოში მგზავრთა დიდი ოდენობით გადაადგილებისა და ტვირთბრუნვის გაზრდისა. თუმცა ამ ყოველივეს გააჩნია თავისი უარყოფითი შედეგებიც. აღნიშნული რეგიონი, თავისი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, შეიძლება არალეგალური ბიზნესის წარმომადგენელთა და ტრანსნაციონალურ დამნაშავეთა დაინტერესების არეალი გახდეს. ასევე ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყანაში არალეგალური მიგრაციის საფრთხეს ზრდის.

ქვეყნის წინაშე მდგარ სირთულეთა და გამოწვევათა რიგში ცალკე ნაწილად უნდა გამოვყოთ რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ქმედებები, რომლის შედეგადაც ოკუპირებულ იქნა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. აღნიშნული ფაქტი, გარდა იმისა რომ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე და უკონტროლოს ხდის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე სიტუაციებს, მუდმივად შეგვახსენებს რომ მეზობელი ქვეყნის მიერ შეიძლება ისევ დადგეს მსგავსი ქმედების განმეორების საფრთხე. ოკუპირებული ტერიტორიები ასევე მეტად ხელსაყრელია ისეთი ტრანსსასაზღვრო დანაშაულების ზრდისათვის როგორებიცაა: ნარკოტიკული საშუალებებითა და იარაღით ვაჭრობა, ადამიანების გატაცება და ტრეფიკინგი, ყალბი ვალუტის შემოტანა და სხვა. ოკუპირებული ტერიტორიის საშუალებით საკმაოდ მარტივადაა შესაძლებელი საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების დაგეგმვა და განხორციელება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტური კერების არსებობა. ამ საკითხთან დაკავშირებულ ძირითად საფრთხეს წარმოადგენს კონფლიქტური კერის გაზრდა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადმოდინება.

ჩვენი ქვეყნის მთიანი რელიეფიდან გამომდინარე საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი მოსაზღვრეებისთვის რთულად ხელმისაწვდომია და მისი დაცვა დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული.

საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ამჟამად რჩება მისი ტურისტული პოტენციალის ათვისება, რისთვისაც აუცილებელია ფიზიკურ პირთა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ სახელმწიფო საზღვრის შეუფერხებელი კვეთა, ოღონდ სრული კონტროლის დაცვით, რათა არ დადგეს ეროვნული, ეკონომიკური თუ სხვა სახის საფრთხის საშიშროება. აღნიშნული საკითხის დარეგულირებაში კი უდიდეს როლს თამაშობს საერთაშორისო თანამშრომლობა, განსაკუთრებით მეზობელ და ევროკავშირის ქვეყნებთან. აღნიშნულ ქვეყნებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარებას და ერთიანი სასაზღვრო პოლიტიკის გატარებას და ტრანსსასაზღვრო დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სქემის შემუშავებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება იყოს ორმხრივი და მრავალმხრივი. იგი ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების, ოქმების, მემორანდუმების და სხვა დოკუმენტების საფუძველზე.[9]

თავი III

საბაჟო კონტროლის ზონა და მარეგულირებელი საჯარო სტრუქტურები

(საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და შემოსავლების სამსახური)

ამრიგად, სახელმწიფო საზღვარი და საბაჟო კონტროლის ზონა სახელმწიფოს განვითარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სარეგულაციო ობიექტებია და შესაბამისად მათი დაცვა აღმასრულებელი ხელისუფლების პირდაპირ ფუნქცია-მოვალეობას განეკუთვნება. საბაჟო კონტროლის ზონა განთავსებულია ნაწილობრივ სახელმწიფო საზღვარზე, ძირითადად გამშვები პუნქტები, ამდენად აღნიშნული საქმიანობის რეგულირება ხდება ორი საჯარო სტრუქტურის მიერ.

სამსახურები, რომლებიც ფუნქციონირებენ ჩვენი ქვეყნის საზღვარზე უზრუნველყოფენ როგორც ფიზიკურ პირთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, ასევე აკონტროლებენ იმპორტ-ექსპორტს და ამით ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის დასტაბილიზირებას. ჩვენ განვიხილავთ სამ ძირითად სამსახურს, რომელთაც გააჩნიათ უშუალო შემხებლობა საზღვარზე ტვირთისა და ფიზიკურ პირთა გადაადგილებასთან. ეს სამსახურები არიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმგებლობაში შემავალი სპეციალური სამსახური და სამართალდამცავი ორგანო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახელით, რომელსაც **საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ეწოდება . ასევე საზღვარზე ფუნქციონირებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური**

სასაზღვრო პოლიციის ამოცანებია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა. სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, მოქალაქეთა და მათი ქონების ხელშეუხებლობა და დაცვა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა პრევენცია, მათი გამოვლენა და აღკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და ჩვენი ქვეყნის იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე. მათი მოვალეობაა ასევე სასაზღვრო ინციდენტების თავიდან, სამხედრო ან სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მოგერიება. სასაზღვრო პოლიცია პასუხისმგებელია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. სასაზღვრო პოლიციას აქვს გერბი და დროშა რომელსაც ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

სასაზღვრო პოლიცია სასაზღვრო-პოლიციურ ღონისძიებებს ახორციელებს:

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე;

ბ) სასაზღვრო ზოლში;

გ) სასაზღვრო ზონაში;

დ) საქართველოს საზღვაო სივრცეში;

ე) საერთაშორისო აეროპორტში;

ვ) საქართველოს ნავსადგურსა და პორტპუნქტში;

ზ) სასაზღვრო რკინიგზის სადგურში.

სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ეს კანონი, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა შესაბამისი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობა და თანამშრომლობა ემყარება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და საქართველოს, უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო ინტერესებს სასაზღვრო სფეროში საქმიანობის კოორდინაციის, თანამშრომლობის გაღრმავებისა და სასაზღვრო საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

სასაზღვრო პოლიცია თანამშრომლობს უცხო ქვეყნების სასაზღვრო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებითა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით დებს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებს სასაზღვრო სფეროში.

სასაზღვრო პოლიცია მისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, ნებაყოფლობით ჩაერთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში და დაეხმაროს სასაზღვრო პოლიციას მისი ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებაში. სასაზღვრო პოლიცია უფლებამოსილია, წაახალისოს ეს პირი.[10]

21 მარტი მესაზღვრის დღეა!

სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში ასევე ფუნქციონირებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სამსახური, რომელიც:

,,ა) უზრუნველყოფს სასაზღვრო გამტარი პუნქტების კოორდინირებულ მუშაობას სახელმწიფო საზღვრის მართვის ერთიანი სტანდარტის დამკვიდრების/არსებობის მიზნით;

ბ) განიხილავს სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით დეპარტამენტში შემოსულ პირთა განცხადებებსა და საჩივრებს, ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას;

გ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) ახორციელებს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის და საზღვრის რეჟიმის დაცვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სავიზო და საპასპორტო კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში ახორციელებს თარიღის შტამპის დასმას შესაბამისი აღნიშვნით;

ზ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გასცემს საქართველოს ვიზას;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უცხოელს ნებას რთავს გადმოკვეთოს სახელმწიფო საზღვარი სამგზავრო დოკუმენტის გარეშე;

ი) იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ორდინალური, საიმიგრაციო და ტრანზიტული ვიზების მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) განიხილავს განცხადებებს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და შემდგომი რეაგირების მიზნით აგზავნის შესაბამის უწყებებში;

ლ) არალეგალური მიგრაციისა და სხვა ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებსა და სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან;

მ) სახელმწიფო საზღვრისა და საზღვრის რეჟიმის დაცვისა და სამიგრაციო კონტროლის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვიზის სახელმწიფო საზღვარზე გაცემის შემთხვევაში უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში მოწვევის საკითხების განხილვას;

ნ) ახორციელებს რისკების მართვასა და ანალიზს, რისკებთან დაკავშირებული მოვლენების განვითარების პროგნოზირებას და გასცემს რეკომენდაციებს პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით;

ო) სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვისა და სახელმწიფო საზღვრის კვეთის სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესწავლისა და შეფასების მიზნით ახორციელებს გაწეული საქმიანობის შემოწმებას და ადგილზე პრაქტიკული დახმარების ორგანიზებას;

პ) უზრუნველყოფს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში გამოვლენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, იძულების ღონისძიებათა გამოყენებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს". [11]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის პოლიციელთა დღე 31 მაისს აღინიშნება!

- **შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი**

ახლა კი უშუალოდ ვისაუბროთ იმ სამსახურზე, რომელიც ასევე უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის საზღვრის კოორდინირებისა და მართვის სფეროში და რომლის საქმიანობაც წარმოადგენს ჩვენი თემის მთავარ საკვლევ ობიექტს. აღნიშნული სამსახური გახლავთ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - **შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი.**

მებაჟის ანუ ბაჟის ამკრეფის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა და მათი ძირითადი ფუნქცია იყო ქალაქში შემოტანილ და გატანილ საქონელზე სახელმწიფოს მიერ დაწესებული საბაჟო გამოსაკრეფის აღება. შუა საუკუნეებში საქართველოში ბაჟის აკრეფა იჯარით გაიცემოდა კერძო პირებზე , რომლებიც ჩვეულებრივ მაღალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. მათ მებაჯეებს ან „ბაჟის იჯარიდებს „ უწოდებდნენ. პატარა ქალაქებში ძირითადად

ერთი მებაჟე იყო მაგრამ დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში რამდენიმე. მათ შორის ფუნქციები იმ საქონლის მიხედვით ნაწილდებოდა , რომელიც შემოდიოდა ან გადიოდა ქალაქიდან. წყაროებში მოხსენიებულია ,,თამბაქოს იჯარა“ , ,,არაყის იჯარა“ და სხვა.

თანამედროვე საბაჟო დეპარტამენტი კი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- ✓ *საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას და გადაადგილებაზე საბაჟო კონტროლს;*
- ✓ *სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებებისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებას;*
- ✓ *საბაჟო პროცედურების/რეექსპორტის მონიტორინგს, ზედამხედველობას და ანალიზს; საბაჟო პროცედურების/ რეექსპორტის განხორციელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების* აღსრულების პროცესის მონიტორინგს;
- ✓ *საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებას და საბაჟო პროცედურების/რეექსპორტის განხორციელებას;*
- ✓ *შემოსავლების სამსახურის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული, ვალდებულების შესრულების გარანტიის თანხის განკარგვის (მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შესაბამის ბიუჯეტში მიმართვის ან გარანტორისათვის/პირისათვის უკან დაბრუნების) მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და მის წარდგენას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის;*
- ✓ *კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული საბაჟო ინფორმაციის დამუშავებას, ანალიზს და შესაბამის ადრესატამდე დაყვანას, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებთან საბაჟო ინფორმაციის გადამოწმებას და მიღებული მონაცემების ანალიზს შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;*
- ✓ *საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან ან/და დეკლარირებულ საქონელთან დაკავშირებით გამოსაყენებელი რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის მუშაობის ორგანიზებას, მონიტორინგს და ანალიზს;*

✓ *„უფლებამოსილი ექსპორტიორის“ სტატუსის მისაღებად კანდიდატის განაცხადის განხილვა-ანალიზი, „უფლებამოსილი ექსპორტიორების“ შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზს;*

✓ *„ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის“ სტატუსის მაძიებლის განაცხადის განხილვას და სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობების შემოწმებას, „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის“ სტატუსის მინიჭების, მინიჭებაზე უარის თქმის, სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების წარმართვას, „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის“ შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზს, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონტროლს;*

✓ *საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭებისათვის პირის განცხადების განხილვას, მის შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზს, შესაბამისი პირობების შემოწმებას/მონიტორინგს და საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭებას, მინიჭებაზე უარის თქმას, ამ უფლების შეჩერებას/გაუქმებას;*

✓ *საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ფიზიკური პირის, სატრანსპორტო საშუალების ან/და საქონლის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას;*

✓ *„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონიტორინგს დაქვემდებარებული ნაღდი ფულის, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გადამაადგილებელი პირების იდენტიფიკაციას;*

✓ *შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციას, მის რეგისტრაციაზე უარის თქმას, აღნიშნული რეესტრიდან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ამოღებას და, კომპეტენციის ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელებას;*

✓ *საბაჟო გამშვები პუნქტებიდან სტაციონარული მონიტორების მიერ რადიაციული განგაშის დაფიქსირების შემთხვევაში, კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება;*

✓ *სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის სასაზღვრო, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების კონტროლი, აღნიშნულ საკითხებზე შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობა, პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და მასში მონაწილეობა;*

✓ *შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვების, ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ნებართვის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის ნებართვის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის ნებართვის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ნებართვის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე ტექნიკური დახმარების ნებართვის, არაიოდიზირებული მარილის იმპორტის ნებართვის გაცემა, ნებართვაში ცვლილების შეტანა, ნებართვის გაუქმება და უწყებრივი სანებართვო რეესტრის წარმოება;*

✓ *შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის, ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების, სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის, სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან*

საქონლის გატანისას საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა, სერტიფიკატში ცვლილების შეტანა და სერტიფიკატის გაუქმება;

- ✓ *გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების შესახებ მოწმობის გაცემა;*
- ✓ *ლუქების გამოყენებით ტვირთის გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების სერტიფიკატის გაცემა;*
- ✓ *საბაჟო საწყობის საქმიანობის და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემა, ნებართვაში ცვლილების შეტანა და ნებართვის გაუქმება. საბაჟო საწყობის საქმიანობის და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის უწყებრივი სანებართვო რეესტრების წარმოება;*
- ✓ *საქონლის შენახვის ადგილების (საბაჟო საწყობების, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების, „ოქროს სიის“ მონაწილეთა საწყობების, „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის“ სტატუსის მფლობელთა საწყობების, საფოსტო გზავნილების გადამზიდველების საწყობების და საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილების) კლასიფიკატორის მომზადება და დამტკიცება;*
- ✓ *თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის ან საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი;*
- ✓ *საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის სასაზღვრო გამტარ პუნქტთან განთავსებული M2, M3, №2 და №3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვის ან სისტემიდან ავტოსადგომის გამორთვის განხორციელება, ასევე, ელექტრონულ სისტემაში ჩართული ავტოსადგომის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების/პირობების შესრულებაზე კონტროლი;*
- ✓ *საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ საბაჟო კონტროლის სპეციალური საშუალებების (მათ შორის, რენტგენოსკანერების, სამომსახურეო დანიშნულების ძაღლების და სხვ.) დანერგვა და გამოყენება, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და სათანადო რეაგირება;*

✓ *დეპარტამენტში არსებული სპეციალური ტექნიკის გამოყენების ორგანიზებას. საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების, ახალი მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების დანერგვის თაობაზე წინადადებების შემუშავება;*

✓ *კომპეტენციის ფარგლებში, მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms"-ში პირის უშუალოდ დეკლარანტის სტატუსით დაშვება, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემა „Oracle"-ში პირის დაშვება და დაშვების გაუქმება;*

✓ *შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემებში დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომელთა დაშვება და დაშვების გაუქმება; მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემებში დაშვებული, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლებისათვის გაფორმების ადგილის კოდის დამატების/გაუქმების ან/და სისტემაში სამუშაოდ სხვა საჭირო ცვლილებების ტექნიკურ განხორციელება;*

✓ *ფარმაცევტული პროდუქტის საგადასახადო აღნუსხვის ფორმებისა და მათი ელექტრონული ვერსიების სისტემატიზაცია და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსათვის მიწოდება;*

✓ *კონტროლს დაქვემდებარებული მიწოდების განხორციელებისას სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა;*

✓ *ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უშიშროებასთან დაკავშირებული პროგრამის ფარგლებში მოქმედი „ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიანი ელექტრონული სისტემის" საშუალებით საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციაზე ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებებს შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის კოორდინაცია ნებართვების ერთი სარკმლის პრინციპით გაცემის უზრუნველყოფის მიზნით;*

✓ *სასაქონლო ექსპერტიზის განხორციელება საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენის, საქონლის საბაჟო*

ღირებულების განსაზღვრის, სასაქონლო კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენის მიზნით;

- ✓ *საბაჟო კონტროლის მიზნით აღებული სინჯისა და ნიმუშის ლაბორატორიულ კვლევა/ექსპერტიზა;*
- ✓ *ავტოტექნიკური ექსპერტიზის განხორციელება;*
- ✓ *გაფორმებას დაქვემდებარებული საქონლის მიმართ სასაქონლო კოდის შესახებ ან საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად პირის (დაინტერესებული მხარის) წერილობითი განცხადების (მოთხოვნის) საფუძველზე შემოსავლების სამსახურის წინასწარი გადაწყვეტილების პროექტის მომზადება;*
- ✓ *საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებების განსაზღვრასთან დაკავშირებული რისკის პროფილების ანალიტიკურ დეპარტამენტში წარდგენა წინადადებებისა და რეკომენდაციებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი კონფიდენციალობის დაცვით;*
- ✓ *არარეზიდენტ ფიზიკურ პირთა საგადასახადო აღრიცხვა;*
- ✓ *და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება;*
- ✓ *კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიისა ან/და ანალიტიკური დეპარტამენტებისათვის წარდგენა;*
- ✓ *კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემა;*
- ✓ *კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფა;*
- ✓ *დამატებით დარიცხული/შემცირებული იმპორტის გადასახდელის, საურავისა და ფულადი ჯარიმის თანხების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვა (დარიცხვა, შემცირება);*
- ✓ *საბაჟო კონტროლის ზონაში გამოვლენილ სამართალდარღვევათა შესახებ ინფორმაციის დამუშავება მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) საინფორმაციო საკონსულტაციო სისტემაში (CEN, e-CEN) განთავსების მიზნით;*
- ✓ *დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების მიმდინარე საქმიანობის კოორდინაცია ონლაინრეჟიმში;*

✓ *საჭიროების შემთხვევაში, აუდიტის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული საგადასახადო შემოწმების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;*

✓ *საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელება;*

✓ *გზათსარგებლობის საფასურის გადახდის კონტროლს, გზათსარგებლობის საფასურის ბარათების გაცემას ბარათების რეალიზატორ პირებზე, გაცემული ბარათების აღრიცხვას და რეალიზაციის კონტროლს, ბარათების რეალიზატორი პირის მიერ დაბრუნებული დაზიანებული ბარათების ან/და გამოსაყენებლად უვარგისი ბარათების ექსპერტიზა-უტილიზაციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის მიწოდებას, ბარათების რეალიზატორი პირისათვის თანხის დაბრუნების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის წარდგენა;*

✓ *თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის საჭირო პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წარმართვას;*

✓ *კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;*

✓ *შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრ*ულება“.[13]

25 იანვარი საბაჟოს საერთაშორისო დღეა, რომელიც უკვე 60 წელზე მეტია აღინიშნება მსოფლიოს 117 ქვეყანაში.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი არის მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრი. მსოფლიოს საბაჟო ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას , რომლის წევრიც გახლავთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საბაჟო სამსახურები. მისი შტაბბინა მდებარეობს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა ორიენტირებულია საერთაშორისო ინსტრუმენტების განვითარებაზე. ასევე საქონლის კლასიფიკაციასა და მისი წარმოშობის წესებზე. მსოფლიოს სავაჭრო პროცედურების განვითარებაზე ,მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოებასა და

კორუფციასთან ბრძოლაზე. ასევე საბაჟო სფეროში სამართალდარღვევათა აღმოფხვრასა და საავტორო უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ორგანიზაციის მთავარი მიზანია ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საბაჟო ორგანოების ეფექტურობის გაზრდა მათი ეროვნული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებით. ასევე საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შეგროვება.

მსოფლიოს საბაჟო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი .მას ორგანიზაციის წევრები ირჩევენ ხუთი წლის ვადით. უმაღლესი მმართველი ორგანოა საბჭო და იგი შედგება ორგანიზაციის წევრებისგან. საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასაზღვრო კონტროლის ზონაში მოქმედი ყველა სამსახური ვალდებულია დაიცვას დიპლომატიური ხელშეუხებლობის ,იგივე დიპლომატიური იმუნიტეტის პრინციპი. დიპლომატიური პრივილეგიების არსი მდგომარეობს განსაკუთრებული უფლებებისა და უპირატესობების ქონაში, რომელიც დარეგულირებულია ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციით. აღნიშნული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ რომ უძველესი დროიდან დღემდე ყველა ერი აცნობიერებდა და აცნობიერებს დიპლომატიური აგენტების სტატუსს. და გამომდინარე იქედან რომ მათთვის მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის მიზნები და პრინციპები , რომელიც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებას ემსახურება, აღნიშნული სახელმწიფოები იმედოვნებენ რომ დიპლომატიური ურთიერთკავშირების , პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ საერთაშორისო კონვენცია ხელს შეუწყობს ერებს შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებას, მიუხედავად მათი განსხვავებული სოციალური თუ კონსტიტუციური წყობისა.

დიპლომატიური იმუნიტეტი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს პირად ხელშეუხებლობას. ამ უფლებით აღჭურვილ პირთა დაპატიმრება, პასუხისგებაში მიცემა ან სასამართლოში მოწმის სახით გამოძახება დაუშვებელია. ასევე ხელშეუხებელია მათი სამუშაო ადგილი, საცხოვრებელი სახლი და გადაადგილების საშუალება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ მისი გამოყენება

დასაშვებია დიპლომატიური მიზნებისათვის შეუთავსებელი საქმიანობებისათვის. თუ იმუნიტეტით აღჭურვილი პირი დანაშაულს ჩაიდენს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მისი პასუხისმგებლობის საკითხი წყდება დიპლომატიური გზით.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ან ამ წარმომადგენლობათა პერსონალისა და ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი , დიპლომატიური ფოსტა ან საკონსულო ვალიზა, ან მათი გადამტანი სატრანსპორტო საშუალება არ ექვემდებარება საბაჟო გამშვებ პუნქტთან 20 კილომეტრის რადიუსში მდებარე რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართულ ავტოსადგომზე სავალდებულო გამოცხადებას.

თუკი დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის მიერ გადმოტანილი საქონელი ექვემდებარება დეკლარირებას გაფორმება ხდება პრიორიტეტული წესით, მაქსიმალურად მოკლე ვადებში.

შემოსავლების სამსახური ასევე უფლებამოსილია, საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მოითხოვოს საკონსულო ვალიზის გახსნა დიპლომატიური წარმომადგენლის თანდასწრებით . საკონსულო ვალიზის გახსნაზე უარის მიღების შემთხვევაში იგი უკან ბრუნდება დ არ დაიშვება ქვეყნის ტერიტორიაზე მისი შემოტანა.

საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ასევე მოთავსებულია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიები . აღნიშნულ ქსელს წარმოადგენს ,, დიუთი ფრი ჯორჯია „ (Duty Free Georgia). საზღვარზე გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ შეისყიდონ აღნიშნულ ქსელში სხვადასხვა სახის საქონელი (იქნება ეს ალკოჰოლი, ტკბილეული, პარფიუმერია თუ სხვა), რომელიც არ დაიბეგრება საბაჟო გადასახდელებით. თუმცა აქაც არსებობს ერთი გამონაკლისი. თუკი ფიზიკური პირის მიერ ,, დიუთი ფრი“-ში შეძენილი საქონლის რაოდენობა აღემატება საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ საზღვრებს , საბაჟო დეპარტამენტის მიერ ხდება ზღვარს მიღმა არსებული საქონლის კონფისკაცია და პირს უფლება ეძლევა ქვეყანაში შემოიტანოს მხოლოდ ამა თუ იმ საქონლის დარჩენილი ანუ ზღვრული რაოდენობა.

თავი IV

საქართველოს საბაჟო გამშვები პუნქტები და პირველადი საბაჟო პროცედურები

საქართველოს საბაჟო ტერიტორია შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისგან, საქართველოს ტერიტორიული და შიდა წყლებისგან ანუ აკვატორიისგან, საქართველოს საჰაერო სივრცისგან - აეპოტორიისგან და განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში არსებული დანადგარის, ნაგებობის ან ხელოვნური კუნძულის ტერიტორიისგან, რომელზეც ვრცელდება საქართველოს იურისდუქცია. საქართველოს საბაჟო საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

საბაჟო ფორმალობები საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ ენებზე. საბაჟო ორგანოს შეიძლება ასევე წარედგინოს უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი და ამ შემთხვევაში საბაჟოს წარმომადგენელი უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს აღნიშნული დოკუმენტის თარგმნა ქართულ ენაზე.

საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებია:

ა) საბაჟო გამშვები პუნქტი;

ბ) საბაჟო ორგანოს საწყობი;

გ) გაფორმების ეკონომიკური ზონა:

დ) საბაჟო საწყობი ;

ე) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი ;

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურის სალიანდაგო ნაწილი, ამ სალიანდაგო ნაწილზე საბაჟ კონტროლისადმი დაქვემდებარებული საქონლის განთავსებისას;

ზ) საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილ აეროპორტში, საზღვაო პორტში, ნავსადგურში, რკინიგზის სადგურში საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული ტერიტორია;

თ) შენახვის სხვა ადგილი, ნაგებობა ან სატრანსპორტო საშუალება სადაც იმყოფება საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება;

ი) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, საბაჟო ფორმალობების განხორციელებისთვის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული სხვა ადგილი.

საბაჟო დეპარტამენტის უფლებამოსილებები უკვე ჩამოვთვალეთ წინა თავში. ამ თავში უშუალოდ გავეცნობით იმ საბაჟო გამშვებ პუნქტებს , რომლებიც დღეისათვის ფუნქციონირებს საქართველოს სახელმწიფო ტეროტორიაზე. ესენია:

1.საბაჟო გამშვები პუნქტი ,, სადახლო საავტომობილო“ ;

2. საბაჟო პუნქტი ,,სადახლო სარკინიგზო“ ;

3. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, წითელი ხიდი“ ;

4. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, ნინოწმინდა “ ;

5. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, გარდაბანი “ ;

6. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, მტკვარი “ ;

7. საბაჟო გამშვები პუნქტი ,,ახკერპი “ ;

8. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, გუგუთი “ ;

9. საბაჟო გამშვები პუნქტი ,,ლაგოდეხი “ ;

10. საბაჟო გამშვები პუნქტი ,,სამთაწყარო“ ;

11. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, ყაზბეგი“ ;

11. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, ვალე” ;

12. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, თბილისის აეროპორტი ‘’ ;

13. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, სარფი’’ ;

14. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, ბათუმის აეროპორტი’’ ;

15. საბაჟო გამშვები პუნქტი ,,ბათუმის პორტი’’ ;

16. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“ ;

17. საბაჟო გამშვები პუნქტი ,, ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ‘’ ;

18. საბაჟო გამშვები პუნქტი ,,კარწახი’’ ; [14]

თითოეულ საბაჟო გამშვებ პუნქტს ახასიათებს თავისებური სპეციფიკა და საქმიანობის სირთულეები. ქვემოთ გაგაცნობთ მათი საქმიანობის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთა ნებადართულია საბაჟო ორგანოების სამუშაო დროს და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ადგილებში.

საბაჟო გამშვები პუნქტების სამუშაო დროს წარმოადგენს კალენდარული კვირის ყოველი დღე (საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ჩათვლით) 00:00 საათიდან 24:00 საათის ჩათვლით. საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით შეიძლება გადაადგილდეს ნებისმიერი სახის საქონელი, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან გატანა აკრძალული არ არის. რათქმაუნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ასევე საქონლის გარკვეული სახეობებისთვის გადაადგილება დაშვებულია მხოლოდ გარკვეული სატრანსპორტო საშუალებებით და გარკვეული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით. აი მაგალითად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჯართის შემოტანა/გატანა დაშვებულია მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის საშუალებით და შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტების გავლით.

თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანხმობით მისი შემოტანა/გატანა დაშვებულია სახმელეთო ტრანსპორტითაც.

საბაჟო გამშვები პუნქტი ,,ყაზბეგის'' გავლით ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციისთვის განკუთვნილი საქონლის გადაადგილება, გარდა ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებული საქონლისა, შესაძლებელია განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანხმობის საფუძველზე.

საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო საქმიანობისთვის განკუთვნილი ფართო მოხმარების ან/და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის გადაადგილება დასაშვებია საავტომობილო მიმოსვლისთვის გახსნილი საბაჟო გამშვები პუნქტების გავლით და მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

ახლა კი განვმარტოთ რამდენიმე ტერმინი, რომელთა ცოდნაც გაგვიმარტივებს არამარტო ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის შინაარსის გაგებას, არამედ როცა თავად აღმოვჩნდებით საზღვრის კვეთის პროცესში უშუალოდ წაგვადგება აღნიშნული თეორიული ცოდნა.

- ✓ **დეკლარანტი** – პირი, რომელიც საქონლის დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება.
- ✓ **საქონლის დეკლარირება** – ქმედება, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ დამუშავების ოპერაციის გამოყენების განზრახვას .
- ✓ **საბაჟო დეკლარაცია** – დოკუმენტი, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას .
- ✓ **სავაჭრო პოლიტიკა** – საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების მარეგულირებელი აქტების საფუძველზე მოქმედი სატარიფო (იმპორტის გადასახადი) და არასატარიფო ღონისძიებები (ნებართვები, ლიცენზიები, აკრძალვები, შეზღუდვები და ა. შ.)
- ✓ **იმპორტის გადასახდელი** – იმპორტის გადასახადი, აქციზი, დღგ, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით.
- ✓ **საქონელი** - მატერიალური ან არამატერიალური ქონება, მათ შორის, ელექტრო- და თბოენერგია, გაზი და წყალი.
- ✓ **მგზავრი** – ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს;

- ✓ **ნივთი** – მგზავრის პირადი გამოყენებისა და მოხმარებისათვის განკუთვნილი საგანი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას გადაიზიდება ბარგით ან/და ხელბარგით.
- ✓ **ხელბარგი** – მგზავრის მიერ პირადად გადასატანი საგანი ბარგი .
- ✓ **სახელმწიფო ზედამხედველობა** – შემოსავლების სამსახურის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების დაცვა. დეკლარირებული მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით საბაჟო კონტროლი ხორციელდება კონტროლის ზონაში, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილია.
- ✓ **საბაჟო კონტროლი** – შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა;
- ✓ **საქონლის წარდგენა** – შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ადგილზე საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ;
- ✓ **საქონლის გაშვება** – დეკლარანტისთვის საქონლის განკარგვის ან/და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭება საქონლის მიმართ გამოყენებული სასაქონლო ოპერაციის პირობების შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტის, ან საბაჟო დეპარტამენტთან წინასწარ შეთანხმებული სხვა ადგილის გავლით. აღნიშნული ვალდებულებები არ ვრცელდება ელექტროგადამცემი ხაზით ან მილსადენით, საზღვაო ან საჰაერო საჰაერო სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიულო წყლების ან საჰაერო სივრცის გავლით გადაადგილებულ საქონელზე.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში, ასევე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო საათებში, დაიშვება მხოლოდ საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით და შემოსავლების სამსახურის, საპატრულო და სასაზღვრო პოლიციის თანხმობით.

საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება საქონლის გადამაადგილებელ პირს. საქონელი საქართველოს საბაჟო

ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან აგრეთვე საქართველოს საბაჟ ტერიტორიიდან გასატანი საქონლის გაფორმების დასრულების მომენტიდან ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას. სწორედ ამიტომ არის მისი წარდგენა სავალდებულო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის წარდგენა ხდება:

1.სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში;

2. საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნი საზღვაო პორტებში;

3. საერთაშორისო აეროპორტებში;

4. საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა სხვა ადგილებში შემოტანისას.

საქონელი წარდგინების შემდეგ ექვემდებარება ზოგად დეკლარირებას ზოგადი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტებში სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში. ზოგად დეკლარირებას ახორციელებს:

ა) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი ან საქონლის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი;

ბ) საქონლის მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი.

ზოგადი დეკლარირება ხორციელდება ელექტრონულად ან წერილობით ერთ-ერთი შემდგომი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე:

1) **სატრანსპორტო დოკუმენტი** , რომელსაც საავტომობილო გადაზიდვის დროს წარმოადგენს:

ა) სატრანსპორტო ზედნადები ან TIR კარნეტი , ან მათი არარსებობის შემთხვევაში - ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - კონოსამენტი:

გ) საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - ავიაზედნადები:

დ) სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - სარკინიგზო ზედნადები.

2) **საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშფაქტურის ე.წ ინვოისის** ,ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის დედანი ან ასლი;

3) **საფოსტო გზავნილების ნუსხა** - საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში.

სატრანსპორტო დოკუმენტების ან ანგარიშფაქტურის არარსებობის შემთხვევაში საქონელი ექვემდებარება სავალდებულო დათვალიერებას ან/და სინჯის აღებას და შესაბამისი აქტის შედგენას.

თუკი საბაჟო გამშვებ პუნქტზე საქონლის შემოტანა ექვემდებარება გარკვეულ ნებართვას, სერტიფიცირებას ან სხვა სატარიფო ღონისძიებას ასეთ შემთხვევაში წარდგენილი უნდა იყოს ისეთი დოკუმენტები როგორიცაა:

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა:

2. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა;

3. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა;

4. ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუების იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა; “

5. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ”¨კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა;

6. იარაღისა და საბრძოლო მასალის იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა;

7. სამხედრო-საბრძოლო იარაღის იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების და დროებითი შემოტანის გატანის ნებართვა;

8. უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა;

9. საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა; უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვა;

10. შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა;

11. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებების იმპორტის ნებართვა; ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა.

თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების მიმართ ადგილი ჰქონდა საგადასახადო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს, წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბაჟო გამშვებ პუნქტში დამატებითაა წარსადგენი დოკუმენტები , თუკი საზღვარზე ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება სახიფათო ტვირთი. აღნიშნული დოკუმენტებია:

1. სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე მძღოლის სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტი;

2. შესაბამისობის შეფასების ოქმი ავტოსატრანსპორტო საშუალების განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე დასაშვებად;

3. განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო

4. საშუალებების დაშვების მოწმობა;

5. ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის დამადატურებელი ტესტირების ბარათი;

6. ბირთვული და რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადიაქტიური ნარჩენების, აგრეთვე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა სახის სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირებისას;

7. შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა ან ლიცენზიის/ნებართვის სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

ასევე აუცილებელია ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელიც საზღვარზე გადაადგილებს საქონელს იცოდეს რომ საბაჟო პროცედურების განხორციელებას, ასევე საქონლის ან ავტოსატრანსპორტო საშუალების ადგილზე გამოცხადებას გააჩნია გარკვეული ვადები, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც პასუხისმგებელ პირს დაეკისრება კანონით გათვალისწინებული სანქცია.

თავი V

სასაქონლო ოპერაციები

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიხედვით არსებობს რამოდენიმე სასაქონლო ოპერაცია, რომელთა საბაჟო რეჟიმში მოქცევისას შესაძლოა საქონლის გაფორმება. აღნიშნული ოპერაციებია :

1. **იმპორტი;**
2. **ექსპორტი;**
3. **რეექსპორტი;**
4. **ტრანზიტი;**
5. **საწყობი;**
6. **თავისუფალი ზონა;**
7. **დროებითი შემოტანა;**
8. **შიდა გადამუშავება;**
9. **გარე გადამუშავება;**

ამ თავში განვიხილავთ თუ რა დროს, რა სახის და რაოდენობის საქონელი განეკუთვნება თითოეულ სასაქონლო ოპერაციაში მოქცევას.[13]

იმპორტის სასაქონლო ოპერაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონლის მიმართ. ამ დროს საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი, გამოიყენება სავაჭრო

პოლიტიკის ღონისძიებები და გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები. თუკი დეკლარანტი წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას მას უფლება აქვს ნებისმიერი სასაქონლო ოპერაცია შეცვალოს იმპორტის ოპერაციით.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ იმპორტის სასაქონლო ოპერაციის დროს შესაძლებელია საბაჟო გამშვები პუნქტების გავლით გადაადგილდეს ნებისმიერი სახის საქონელი რომლის საქართველოს საბაჟ ტერიტორიაზე შემოტანა ან საბაჟო ტერიტორიიდან გატანა არ არის აკრძალული. ამასთანავე იმ საბაჟო გამშვებ პუნქტებში,რომლებიც მხოლოდ საავტომობილო მიმოსვლისთვისაა განკუთვნილი, ეკონომიკური საქმიანობისთვის ან საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის განკუთვნილი საქონლის გადაადგილება დაშვებულია მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შეიძლება შემოვიდეს საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა სხვა ადგილის გავლითაც, ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც შეუძლებელია საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის დათვალიერება, ტრანსპორტი, რომლის საშუალებითაც გადაადგილდება აღნიშნული საქონელი ექვემდებარება ნიშანდებას და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით, ან თუ სარკინიგზო ხაზით შემოსულია საქონელი რკინიგზის ელექტრონული მოწმობით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ გადაადგილდება შესაბამის საბაჟო ტერმინალამდე, დროებითი შენახვის ადგილამდე ან საბაჟო საწყობამდე სადაც მოხდება მისი დათვალიერება.

იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება რამოდენიმე გზით:

1. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით;
2. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით;
3. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის წარდგენით;
4. ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით;
5. საფოსტო გზავნილების დეკლარაციით;

როდესაც ვსაუბრობთ საქონლის მიმოქცევასა და თვირთბრუნვაზე, ასევე მათ საბაჟო რეჟიმებში მოქცევასა და საბაჟო პროცედურების ჩატარების

აუცილებლობაზე , აქვე უნდა ვახსენოთ დაუძლეველი ძალის ფენომენი ანუ ე. წ ფორსმაჟორული სიტუაცია, რომელიც შეუძლებელს ხდის საბაჟო კოდექსით დადგენილ ვალდებულებათ შესრულებას. დაუძლეველ ძალად შეიძლება ჩაითვალოს სტიქიური უბედურებები, მასობრივი არეულობები ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე ავარიები. აღნიშნული შემთხვევის დადგომის დროს პირმა, რომელიც ვერ ასრულებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს თავისი მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითების შესაბამისად. დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ დგება შესაბამისი ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და ჯართი ექვემდებარება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევას ან განკარგვა/განადგურებას. აღნიშნულ მოთხოვნათა შესასრულებლად გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი პირი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის იმპორტისას, საქონლის კლასიფიცირების გათვალისწინებით, პირს შესაძლებელია წარმოეშვას შემდეგი გადასახადების გადახდის ვალდებულება:

1. **იმპორტის გადასახადი**, რომელიც წარმოდგენილია საქონლის საბაჟო ღირებულების 5 % -იანი ან 12%-იანი განაკვეთით ან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. სადაც საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კლასიფიცირების მიხედვით.

2. **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)**, რომელიც წარმოადგენს საქონლის იმპორტის თანხის 18 %-ს .

3. **აქციზი ,** რომელიც წარმოდგენილია დიფერენცირებული აქციზის განაკვეთით და რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე ან 188' მუხლის შესაბამისად, სადაც საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია სასაქონლო ნომენკლატურის (სესნ) კლასიფიცირების მიხედვით. [12]

ექსპორტის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის გარეთ გატანილ იქნეს ქართული საქონელი, თუ საქონელი

საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას იმავე მდგომარეობაში იქნება როგორშიც იყო ექსპორტის დეკლარაციის რეგისტრირების დღეს, გარდა ბუნებრივი დანაკარგებით გამოწვეული უმნიშვნელო ცვლილებებისა.

ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის დეკლარირება ხდება გაფორმების საგადასახადო ორგანოში სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ან საბაჟო გამშვებ პუნქტში სასაქონლო ზედნადების წარდგენით. თუ საქონლის ექსპორტი ექვემდებარება ლიცენზირებას, ნებართვას ან სხვა არასატარიფო ღონისძიებას , საბაჟო გამშვებ პუნქტს სასაქონლო ზედნადებთან ერთად წარედგინება შესაბამისი დოკუმენტი.

თუ საექსპორტო საქონელს წარმოადგენს მრგვალი ხე-ტყე, ხე-მცენარე ან მათი პირველადი გადამუშავებით მიღებული პროდუქტი, საბაჟო გამშვებ პუნქტს სასაქონლო ზედნადებთან ერთად წარედგინება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ხე-ტყის შეძენის ან წარმოშობის დოკუმენტი.

ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის დროს დეკლარირება ხდება ასევე ფიზიკური პირის მიერ 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას ან იმ შემთხვევაში თუ პირს საქართველოდან მუდმივად საცხოვრებლად სხვაგან გადასვლისას თან მიაქვს პირადი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა).

თუკი საექსპორტო საქონელს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალება, ამ შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის წარდგენა უნდა მოხდეს სააგენტოს განყოფილებების სარეგისტრაციო სამსახურებში განთავსებულ გაფორმების ადგილებში. ხოლო საფოსტო გზავნილი შემთხვევაში გაფორმების საგადასახადო ორგანოში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ხდება საქონლის დეკლარირება. დეკლარანტს შეუძლია ექსპორტის სასაქონლო ოპერაცია მოტივირებული განცხადების საფუძველზე შეცვალოს გარე გადამუშავების ან თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციით.

ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი შეიძლება ინახებოდეს საბაჟო საწყობში, საბაჟო ტერმინალში, გაფორმების ეკონომიკურ

ზონაში ან შენახვის სხვა ადგილზე სადაც არსებობს ამ საქონლის შენახვისათვის შესაბამისი პირობები.

საქონლის საბაჟო საწყობში შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 120 კალენდარულ დღეს. აღნიშნული ვადა შესაძლოა გახანგრძლივდეს 180 დღემდე დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

საქონლის ექსპორტი გათავისუფლებულია გადასახდელებისაგან. გარდა შავი და ფერადი ლითონების ჯართის ან მათი ნარჩენების ექსპორტისა, რომელთა ექსპორტირებისათვის მომსახურების ტარიფი განისაზღვრება სხვადასხვა მოცულობით და მერყეობს ერთ ტონაზე 10 ლარიდან 160 ლარამდე , მათი დამუშავების ხარისხისა და გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის შესაბამისად.

რეექსპორტის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

რეექსპორტის განხორციელება შესაძლებელია, როდესაც პირი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტშივე აცხადებს საქონლის მიმართ რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრას ან უშუალოდ ახორციელებს საქონლის დეკლარირებას რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში. ასევე იმ შემთხვევებში როდესაც განზრახულია მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის რეექსპორტი ან საწყობის, შიდა გადამუშავების და დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის რეექსპორტი.

თუკი დადგინდა რომ იმპორტში მოქცეულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი ხარისხი, რაოდენობა, აღწერილობა ან შეფუთვა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს იგი უბრუნდება მიმწოდებელს ან მიმწოდებლის მიერ მითითებულ სხვა პირს და აღნიშნული საქონელი ავტომატურად ექცევა რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში. საქონლის მიმართ რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქონლის შენახვა უნდა მოხდეს ,,საქონლის დროებით შენახვის განაცხადის წარდგენით“ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის გატანამდე.

ტრანზიტი - აღნიშნული სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა უცხოური საქონელი გადაადგილდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით, სატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე, რასაკვირველია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ.

ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციაში შეიძლება მოექცეს როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ასევე ნებისმიერ სხვა სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული უცხოური საქონელი, გარდა დროებითიო შემოტანის, ექსპორტის, შიდა და გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციებში მოქცეული საქონლისა.

საბაჟო საზღვარზე ტრანზიტით საქონლის გადაზიდვის დროს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

- საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს სატრანსპორტო ზედნადები;
- საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს კონოსამენტი;
- საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს ავიაზედნადები;
- სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს სარკინიგზო ზედნადები.

ასევე წარდგენილ უნდა იქნეს საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი, ანგარიშფაქტურა, ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის საჭიროების შემთხვევაში ნებართვა ან ლიცენზია.

დანიშნულების ქვეყნის ან საბაჟო გამშვები პუნქტის შეცვლის შემთხვევაში დეკლარანტმა ან გადაზიდვაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა წარადგინოს ქვეყნის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს წინმსწრები სატრანსპორტო დოკუმენტის შესახებ მონაცემები.

ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვერ ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აღნიშნული მდგომარეობის შესახებ უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად.

სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში საქონლის სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადაზიდვა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოს თანხმობითა და უფლებამოსილი თანამშრომლის ზედამხედველობით, რომელიც

ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების დალუქვას და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვის მოწმობაში შეყვანას.

თუ საქონელი განადგურდა ან დაზიანდა საქონლის მფლობელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს საქონლის განადგურების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებული იქნება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთის საქართველოს ტერიტორიის გავლით გადაზიდვისას დადგენილია გზათსარგებლობის საფასური 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ტვირთის მფლობელი ან მძღოლი ვალდებულია უზრუნველყოს გზათსარგებლობის საფასურის გადახდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში ან შეიძინოს გზათსარგებლობის საფასურის ბარათი, რომელიც უნდა წარადგინოს საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას, საბაჟო გამშვებ პუნქტზე . წინააღმდეგ შემთხვევაში მას ქვეყნის დატოვების უფლება არ მიეცემა.

გზათსარგებლობის საფასურისგან გათავისუფლებულია პირი, რომელიც სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით ახორციელებს საზღვაო ნავსადგურში არსებული საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე განთავსებული ტვირთის გადაადგილებას საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით, საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი 10 კილომეტრის რადიუსში მდებარე კონტროლის ზონაში ან კონტროლის ზონიდან ნავსადგურში.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია საშუალებას იძლევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით იქნეს შემოტანილი უცხოური საქონელი. დროებითი შემოტანისას საქონელი სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდება იმპორტის გადასახდელებისგან. სრულად განთავისუფლებული საქონლის ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით და ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით. ხოლო იმპორტის გადასახდელებისგან სრულად განთავისუფლებული საქონლის

დროებითი შემოტანისას ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით ან უცხო ქვეყნის მოქალაქის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მოწმობის გაცემით.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დროს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

- საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს სატრანსპორტო ზედნადები;
- საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს კონოსამენტი;
- საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს ავიაზედნადები;
- სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს სარკინიგზო ზედნადები.

ასევე წარდგენილ უნდა იქნეს საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი, ანგარიშფაქტურა, ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის საჭიროების შემთხვევაში ნებართვა ან ლიცენზია.

ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს , როდესაც სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვერ ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აღნიშნული მდგომარეობის შესახებ უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად.

სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში საქონლის სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადაზიდვა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოს თანხმობითა და უფლებამოსილი თანამშრომლის ზედამხედველობით, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების დალუქვას და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვის მოწმობაში შეყვანას.

თუ საქონელი განადგურდა ან დაზიანდა საქონლის მფლობელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს საქონლის განადგურების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებული იქნება უფლებამოსილი სახემწიფო ორგანოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია დასრულებულად ითვლება თუ საქონელი გატანილია შესაბამისი პროცედურების დაცვით ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. ასევე დროებითი შემპოტანის სასაქონლო ოპერაცია დასრულებულად ითვლება თუკი საქონელი მოექცევა სხვა სასაქონლო

ოპერაციაში ან განადგურდა ავარიის და დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად, რის შესახებაც დეკლარანტმა საგადასახადო ორგანოს წაეუდგინა სათანადო მტკიცებულებები.

საბაჟო საწყობი - არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული, ტერიტორიულად განცალკევებული შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთისგან შემდგარი ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა.

საწყობში შესაძლებელია იმ საქონლის შენახვა , რომელიც მოქცეულია საწყობის სასაქონლო ოპერაციაში. ასევე საბაჟო საწყობში დროებით ინახება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ან ტერიტორიიდან გასატანი საქონელი, სანამ დასრულდება მისი რომელიმე სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის პროცედურა. ასევე საბაჟო საწყობში ამ და სხვა სასაქონლო ოპერაციებში მოქცეულ საქონელთან ერთად შესაძლებელია შენახულ იქნეს საქართველოს საქონელი 3 (სამი) თვის ვადით.

საბაჟო საწყობის საქმიანობისათვის, საწყობის მფლობელმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ნებართვა. მან შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განცხადება, რომლის განხილვაც მოხდება ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ„ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ ნებართვის მოპოვების შემთხვევაში ნებართვის მფლობელს ეკრძალება ნებართვის სხვა პირისთვის გადაცემა. და იგი ვალდებულია ნებართვის ფლობის პერიოდში შეასრულოს საგადასახადო ორგანოს ყველა მოთხოვნა, მათ შორის დაიცვას ჰიგიენურ -სანიტარული ნორმები და მოაწყოს საბაჟო საწყობი ისე რომ შეუძლებელი იყოს საწყობში სატრანსპორტო საშუალების ან საქონლის შეტანა კონტროლის გვერდის ავლით. იგი ვალდებულია საქმიანობა დაიწყოს ნებართვის მიღებიდან არაუგვიანეს 12 თვის განმავლობაში და არ შეწყვიტოს საქმიანობა ამ ვადის განმავლობაში.

ამ და სხვა სანებართვო პირობების დარღვევა იწვევს ნებართვის მფლობელის საგადასახადო პასუხისმგებლობას 2000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში სანქცია შეადგენს პირველადი სანქციის სამმაგ ოდენობას ანუ 6000 ლარს.

თავისუფალი ზონა - არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელების მიზნით უცხოური საქონლის შემოტანა, რომელიც არ ექცევა იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში და შესაბამისად მასზე არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები. ხოლო საქართველოს საქონლის მოთავსებისას, საქონელი ექცევა იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში და შესაძლოა მიენიჭოს უცხოური საქონლის სტატუსიც.

თავისუფალ ზონაში შეიძლება მოთავსდეს უცხო ქვეყნიდან შეტანილი საქონელი. ასევე საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან შეტანილი უცხოური საქონელი და უცხოური საქონელი , რომელიც მოქცეული იყო სასაქონლო ოპერაციაში და ეს სასაქონლო ოპერაცია დასრულდა თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით. თავისუფალ ზონაში ასევე შესაძლოა მოთავსდეს საქართველოს საქონელი.

თავისუფალ ზონაში დასაშვებია ნებისმიერი საქონლის შეტანა, გამოტანა, შენახვა, გადამუშავება, მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა. თავისუფალ ზონაში აკრძალულია იარაღისა და საბრძოლო მასალის ,ასევე ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების გადამუშავება/მიწოდება. ასევე აკრძალულია თამბაქოს ნედლეულის შეტანა და შენახვა გარდა ადგილზე მოხმარებისთვის განკუთვნილისა.

საქართველოს ტერიტორიაზე არის 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა:

- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
- ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ;
- ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
- თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. [13]

სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, საბაჟო გამშვებ პუნქტშივე ხორციელდება რისკების მართვის სისტემის მიერ დერეფნის ფერის შერჩევა. **მწვანე დერეფნის** შერჩევის შემთხვევაში საბაჟო გამშვებ პუნქტშივე ხორციელდება საქონლის დეკლარირება ხოლო **ყვითელი**

დერეფნის შემთხვევაში, საქონლის განთავსება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟოსთან შეთანხმებულ სხვა ტერიტორიაზე. **წითელი დერეფნის** განსაზღვრის შემთხვევაში საქონელი ასევე განთავსდება საბაჟო კონტროლის ზონაში.

გარდა საბაჟო გამშვები პუნქტებისა საქონლის სასაქონლო ოპერაციებში მოქცევა შესაძლებელია საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონებში ე.წ. ,,გეზ"-ში. მეტიც, ტვირთბრუნვის უდიდესი ნაწილი სწორედ გაფორმების ეკონომიკურ ზონებზე მოდის. საქართველოში არის 5 გეზი. ესენია:

- გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ) -თბილისი;
- გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ)-ბათუმი;
- გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ)- ფოთი ;
- გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ)- აეროპორტი ;
- გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ)- თბილისი 2.

გაფორმების ეკონომიკური ზონები განთავსებულია თბილისში, ბათუმსა და ფოთში. ისინი აღჭურვილია ელექტრონული საშუალებებით და თანამედროვე ინფრასტრუქტურით. მათში განთავსებულია სპეციალურად დაგეგმარებული ავტოსადგომები, რომლებიც გათვლილია ასეულობით სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე. არსებობს ყველა წინაპირობა საიმისოდ რომ მარტივად მოხდეს საბაჟო დეკლარაციის შევსება, ტვირთის შემოწმება და ექსპერტიზის ჩატარება ასევე ტვირთის გაფორმება.

გაფორმების ეკონომიკური ზონაში საქონლის მფლობელს შეუძლია საქონელი მოათავსოს შემდეგ სასაქონლო ოპერაციებში: იმპორტი, ექსპორტი საწყობი, რეექსპორტი, დროებითი შემოტანა, საქონლის შიდა და გარე გადამუშავება, ტრანზიტი და თავისუფალი ზონა.

გაფორმების ეკონომიკურ ზონებში შესაძლებელია ნებისმიერი გზით შემოტანილი და ნებისმიერი ტრანსპორტით გადაადგილებულ ტვირთებზე საბაჟო დეკლარაციის შევსება და გაფორმება. ანუ გაფორმების ეკონომიკური ზონები საბაჟო გამშვები პუნქტებისგან განსხვავებით არის მულტიფუნქციური. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ შესაძლებელია ტვირთის ელექტრონული გაფორმება, გაფორმების სამმართველოში მისვლის გარეშეც. კერძოდ

შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე დოკუმენტების ატვირთვით და მომსახურების საფასურის გადახდა საქონლის მფლობელისთვის ხელსაყრელ დროსა და ადგილზე.

დასკვნა

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა დიდ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის და მთლიანად შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ განვითარებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო კვლავ გამოჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტი.

საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, მრავალ საერთაშორისო პროექტში ჩართვისა და ამ პროექტებში წამყვანი როლის დაკავების საშუალება გააჩნია. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა გახდა ასევე მიზეზი იმისა რომ საქართველომ დაიბრუნა სატრანზიტო ფუნქცია, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რეგიონის განვითარებაში ქვეყნის უდიდეს მნიშვნელობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს როლი შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის თვალსაზრისით, რადგანაც შავი ზღვის სატრანსპორტო კომუნიკაციები აკავშირებს ევროპას აზიასთან და ახლო აღმოსავლეთთან. საქართველოს სატრანზიტო როლის ზრდა კი გახდა წინაპირობა საქართველოში მგზავრთა დიდი ოდენობით გადაადგილებისა და ტვირთბრუნვის გაზრდისა. თუმცა ყოველივე ამას გააჩნია თავისი უარყოფითი შედეგებიც.

აღნიშნული რეგიონი, თავისი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, შეიძლება არალეგალური ბიზნესის წარმომადგენელთა და ტრანსნაციონალურ დამნაშავეთა დაინტერესების არეალი გახდეს. ასევე ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყანაში არალეგალური მიგრაციის საფრთხეს ზრდის.

ქვეყნის წინაშე მდგარ სირთულეთა და გამოწვევათა რიგში ცალკე ნაწილად უნდა გამოვყოთ რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ქმედებები, რომლის შედეგადაც ოკუპირებულ იქნა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. აღნიშნული ფაქტი, გარდა იმისა რომ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე და უკონტროლოს ხდის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე სიტუაციებს, მუდმივად შეგვახსენებს რომ მეზობელი ქვეყნის მიერ შეიძლება ისევ დადგეს მსგავსი ქმედების განმეორების საფრთხე. ოკუპირებული ტერიტორიები ასევე მეტად ხელსაყრელია ისეთი ტრანსსასაზღვრო დანაშაულების ზრდისათვის როგორებიცაა: ნარკოტიკული საშუალებებითა და იარაღით ვაჭრობა, ადამიანების გატაცება და ტრეფიკინგი, ყალბი ვალუტის შემოტანა და სხვა. ოკუპირებული ტერიტორიის საშუალებით საკმაოდ მარტივადაა შესაძლებელი საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების დაგეგმვა და განხორციელება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტური კერების არსებობა. ამ საკითხთან დაკავშირებულ ძირითად საფრთხეს წარმოადგენს კონფლიქტური კერის გაზრდა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადმოდინება.

ჩვენი ქვეყნის მთიანი რელიეფიდან გამომდინარე საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი მოსაზღვრეებისთვის რთულად ხელმისაწვდომია და მისი დაცვა დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული.

საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ამჟამად რჩება მისი ტურისტული პოტენციალის ათვისება, რისთვისაც აუცილებელია ფიზიკურ პირთა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ სახელმწიფო საზღვრის შეუფერხებელი კვეთა, ოღონდ სრული კონტროლის დაცვით, რათა არ დადგეს ეროვნული, ეკონომიკური თუ

სხვა სახის საფრთხის საშიშროება. აღნიშნული საკითხის დარეგულირებაში კი უდიდეს როლს თამაშობს საერთაშორისო თანამშრომლობა, განსაკუთრებით მეზობელ და ევროკავშირის ქვეყნებთან. აღნიშნულ ქვეყნებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარებას და ერთიანი სასაზღვრო პოლიტიკის გატარებას და ტრანსსასაზღვრო დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სქემის შემუშავებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება იყოს ორმხრივი და მრავალმხრივი. იგი ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების, ოქმების, მემორანდუმების და სხვა დოკუმენტების საფუძველზე.

აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად საქართველო თითქმის ორი ათწლეულია გამუდმებით აუმჯობესებს და სრულყოფს თავის კანონმდებლობასა და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას. თუკი ადრე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილება საქონლის მფლობელთათვის დაკავშირებული იყო ზედმეტ დანახარჯებთან, რასაც ერთის მხრივ იწვევდა საგადასახადო სისტემის არასრულფასოვნება და მეორეს მხრივ ჩინოვნიკების კორუმპირებულობა. სისტემის დახვეწასა და კორუფციის აღმოფხვრასთან ერთად აღნიშნული დისკომფორტი მოიხსნა და შესაბამისად იმატა ტვირთბრუნვამ და დაინტერესებამ ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო თუ სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობებისა და საშუალებების მიმართ.

ყოველივე ამას კარგად ეხმაურება 2012 წლის 11-13 აპრილს, იტალიაში, რომის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩატარებულ კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლის რუსუდან სეთურიძის ნაშრომი ,,საქართველოს საბაჟო სისტემაში რეალიზებული რეფორმები და წინააღმდეგობები''. კონფერენციაში მონაწილეობდა მსოფლიოს 69 ქვეყანა. კონფერენციის თემას წარმოადგენდა ,,წინააღმდეგობები საჯარო მმართველობაში არასტაბილურ პერიოდში''.

როგორც აღნიშნული სტატიის ავტორი განმარტავს საქართველოს საბაჟო სისტემაში 2004-2012 წლებში საბაჟო სისტემაში განხორციელდა ეფექტური რეფორმები, რომლებსაც ჰქონდა თავისი წინააღმდეგობები თუმცა მიგვიყვანა არაჩვეულებრივ მიღწევებამდე.

როგორც ცნობილია საქართველო 2000 წლიდან არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. დღესდღეობით ჩვენს ქვეყანას აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი და ცდილობს მიაღწიოს საუკეთესო სავაჭრო და სატრანზიტო ურთიერთობებს პარტნიორ ქვეყნებთან. თუმცა აქ მოსვლამდე ჩვენს ქვეყანას საკმაოდ მძიმე საწყისებთან მოუხდა ბრძოლა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქართული საბაჟოს პრაქტიკაში დაინერგა მანკიერი პრაქტიკა, რომლებიც წლების განმავლობაში მოქმედებდა, როგორც ერთგვარი კანონმდებლობა. საბაჟოზე განხორციელებულ რეფორმებამდე გამეფებული პრაქტიკა ძირითადად ლობირებული იყო ცალკეული ჯგუფების მიერ და ემსახურებოდა სწორედ მათ ინტერესებს. აღნიშული ჯგუფების მიერ ხდებოდა ინვესტორების დაინტერესება საგადასახადო შეღავათების დაპირების გზით, რაც ქვეყანაში იზიდავდა საეჭვო ხასიათის და მოკლევადიან კაპიტალს. დანერგილი იყო უმსხვილესი მასშტაბების კორუფციული გარიგებების ინსტრუმენტები. კანონმდებლობას ჰქონდა მხოლოდ ფორმალური ხასიათი. არსებობდა ფიქტიური ფირმები, რომელთა საშუალებებითაც მრავალი დანაშაულებრივი გარიგება ხორციელდებოდა. საბაჟო რეფორმების შემდეგ საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90 % -ზე და ამჟამად ადრე არსებული 16 %-იანი ტარიფის ნაცვლად მოქმედებს 0 % - იანი, 5 %- იანი და12 % -იანი დიფერენცირებული ტარიფები. საბაჟო გადასახადები დაწესებულია მხოლოდ ზოგიერთი სახის სასოფლო -სამეურნეო პროდუქციაზე და სამშენებლო მასალებზე. გარდა ამისა ჩვენს ქვეყანაში არ მოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვები ექსპორტსა და იმპორტზე. გამარტივდა ექსპორტისა და იმპორტის სააქონლო პროცედურები. მარტივად გაიცემა სერთიფიკატები და ნებართვები. უპრობლემოდ ხდება შიდა ბაზარზე ევროკავშირის ტექნიკური რეგულაციების აღიარება. და განახევრდა შრომატევადი სამუშაოები, რომლებიც ძირითადად ქაღალდზე სრულდებოდა. საბაჟო სტრუქტურის უდიდესი ნაწილი გადავიდა ელექტრონულ სისტემაზე.

რეფორმების პირველ წლებში სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 30 %- ით, ხოლო ექსპორტი 3,4 - ჯერ. განხორციელდა საბაჟო მოსაკრებლების სისტემის

ჰარმონიზაცია და ადრე არსებული ადვალური[4] სისტემის ნაცვლად ჩამოყალიბდა ფიქსირებული საგადასახადო სისტემა. დამტკიცდა საქართველოს ინტეგრირებული ტარიფები. ასევე ამოქმედდა იმპორტისას მოქმედი გადასახადების განაკვეთების, აკრძალვების, შეზღუდვებისა და შეღავათების ერთიანი სისტემა, რომელიც იდენტიფიცირდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო კოდების მიხედვით, რაც რეფორმამდე ათეული წლების განმავლობაში უდიდეს სირთულეს წარმოადგენდა.

გარდა ზემოთ აღნიშნული რეფორმების დადებითი მხარეებისა ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული საკითხები, რაზეც გამუდმებით მიმდინარეობს მუშაობა მათი გაუმჯობესების მიზნით. ჩვენი ქვეყნის მიზანია სამართლიანი ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბება, რათა ის ხელმისაწვდომი იყოს ქვეყნის მთლიანი მოქალაქეობისთვის. ამასთან საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაცია გამოიწვევს ბაზარზე იმპორტირებული საქონლის გაიაფებას, რაც თავის მხრივ აზრს დაუკარგავს კონტრაბანდული პროდუქციის შემოტანას და გამოიწვევს ბიზნესის სრულ ლეგალიზებას.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მნიშვნელოვანია ასევე ლოჯისტიკის სექტორის განვითარება რეგიონში, რომელიც სომხეთს, აზერბაიჯანს, შავი ზღვისა და კასპიის ზღვების ქვეყნებს მოიცავს. ნულოვანი საბაჟო ტარიფი ინფრასტრუქტურის და საბანკო სექტორის განვითარების რეალურ პერსპექტივას ქმნის, რაც დიდი სტიმული იქნება საქართველოს ეკონომიკის მომავალი აღმავლობისთვის.

ამრიგად, საბაჟო კონტროლის ზონა და მისი ეფექტურად ფუნქციონირება დამოკიდებულია როგორც ქვეყნის შიგნით განვითარებულ მოვლენებზე, ასევე საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ადგილსა და მნიშვნელობაზე. რასაკვირველია ყველა სახელმწიფო თანაბარ სუბიექტუნარიანი და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო სამართლის კუთხით თანასწორია მიუხედავად სიდიდისა თუ განვითარების კუთხისა, მაგრამ თითოეული ქვეყნის ადგილმდებარეობა, გეოგრაფიული ლანდშაფტი მეტწილად განსაზღვრავს მის როლს მსოფლიო

[4] **ადვალური გადასახადი** ეს არის გადასახადის ისეთი სახეობა, რომელიც შემოსავლის ან ღირებულებისი მიმართ პროცენტულ მაჩვენებელში დაფიქსირებულ გადასახადს წარმოადგენს

ეკონომიკის განვითარებაში. ამდენად როცა საუბარია სახელმწიფოს როლსა და ფუნქციაზე საერთაშორისო მასშტაბით აქ მნიშვნელოვანია ამ საკითხის სწორ ჭრილში გაგება.

იმისათვის რომ ქვეყანამ თამამად უპასუხოს ყველა საერთაშორისო გამოწვევას და აქტიურად ჩაერთოს მიმდინარე პროცესებში პირველ რიგში მას უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული და სრულყოფილი სასაზღვრო სისტემები და განსაკუთრებით საბაჟო კონტროლის ზონები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ქვეყანაში იმპორტისა და ექსპორტის გაფართოებას, სასურველი ბიზნეს გარემოს შექმნასა და საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. თამამად შეიძლება ვთქვათ - საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონები თავისი საკანონმდებლო თუ სტრუქტურული აგებულებით სრულყოფილად პასუხობს ყველა საერთაშორისო გამოწვევას და აგრძელებს განვითარებას რათა გახდეს მაღალი სტანდარტების მქონე სახელმწიფო. საქართველომ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან გამომდინარე, გაუძლო მრავალ ქარტეხილებს, შეინარჩუნა კულტურა და ისტორია. მსოფლიო რუკიდან გაქრა დიდი სახელმწიფოები მაგრამ საქართველო ამაყად იდგა და დგას კაცობრიობის განვითარებისა და დაცვის სადარაჯოზე.[5]

დანართი N1

საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის ფუნქციები

,,ა) უზრუნველყოფს სასაზღვრო გამტარი პუნქტების კოორდინირებულ მუშაობას სახელმწიფო საზღვრის მართვის ერთიანი სტანდარტის დამკვიდრების/არსებობის მიზნით;

ბ) განიხილავს სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით დეპარტამენტში შემოსულ პირთა განცხადებებსა და საჩივრებს, ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას;

გ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) ახორციელებს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის და საზღვრის რეჟიმის დაცვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სავიზო და საპასპორტო კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში ახორციელებს თარიღის შტამპის დასმას შესაბამისი აღნიშვნით;

ზ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გასცემს საქართველოს ვიზას;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უცხოელს ნებას რთავს გადმოკვეთოს სახელმწიფო საზღვარი სამგზავრო დოკუმენტის გარეშე;

ი) იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ორდინალური, საიმიგრაციო და ტრანზიტული ვიზების მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) განიხილავს განცხადებებს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და შემდგომი რეაგირების მიზნით აგზავნის შესაბამის უწყებებში;

ლ) არალეგალური მიგრაციისა და სხვა ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებსა და სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან;

მ) სახელმწიფო საზღვრისა და საზღვრის რეჟიმის დაცვისა და სამიგრაციო კონტროლის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვიზის სახელმწიფო საზღვარზე გაცემის შემთხვევაში უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში მოწვევის საკითხების განხილვას;

ნ) ახორციელებს რისკების მართვასა და ანალიზს, რისკებთან დაკავშირებული მოვლენების განვითარების პროგნოზირებას და გასცემს რეკომენდაციებს პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით;

ო) სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვისა და სახელმწიფო საზღვრის კვეთის სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესწავლისა და შეფასების მიზნით ახორციელებს გაწეული საქმიანობის შემოწმებას და ადგილზე პრაქტიკული დახმარების ორგანიზებას;

პ) უზრუნველყოფს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში გამოვლენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, იძულების ღონისძიებათა გამოყენებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს“. [10]

დანართი N2

საქართველოს საბაჟო შეღავათები

საქართველოს საბაჟო საზღვრის კვეთის დროს ვრცელდება გარკვეული სახის შეღავათები. კერძოდ , იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია :

- საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
- იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული წესით;
- იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით, რომელიც არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად;

იმპორტის გადასახადისაგან ასევე განთავისუფლებულია ფიზიკური პირის მიერ:

● კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის გარკვეული ჯგუფებისა და სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

● მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარელას ან 10 ცალი ელექტრონული სიგარეტის კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი.

● მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომლებიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომლებიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი;

● უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი;

● საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

● საფოსტო გზავნილის შემთხვევაში 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი არ

არის, აგრეთვე 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან ელექტრონული სიგარეტის 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, აგრეთვე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

- საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის; რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი;

- საერთაშორისო საავიაციო რეისებისა და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი;

- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

- უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში;

- 2023 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნედლეულის იმპორტი;

- საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „პ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“, „დ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების შესაბამისად საქონლის იმპორტი და დროებითი შემოტანა;

- საქონლის მიმართ გამოყენებული სასაქონლო ოპერაციები (გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის იმპორტისა და დროებითი შემოტანისა) საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის განთავსება;

- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან იმპორტი. საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს,

დაადგინოს საქონლის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებულად მიჩნევის კრიტერიუმები;

- საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დაბრუნებული საქონლის იმპორტი;

● „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 1994 წლის 15 აპრილის საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის აღნიშნული სახელმწიფოდან იმპორტი, მიუხედავად საქონლის გადაადგილების მარშრუტისა (ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიიდან საქონლის გადაადგილებისას აღნიშნული შეთანხმების არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის გავლის მიუხედავად).[13]

ბიბლიოგრაფია

1. ალექსიძე ლ. „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“ თბ., 1998
2. დევიდოვ იუ.ნ. მაქს ვებერი და თანამედროვე თეორიული სოციოლოგია. მ., 1998
3. გაჩეჩილაძე რ., „ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი, პოლიტიკა.“ თბილისი 2008 (გვ. 308-310)
4. ვებერი მ. ნაშრომი „სოციალური კონცეფცია“
5. თსუ მეცნიერება ,,ქართველი მეცნიერის თვალით დანახული ქართული საბაჟოს რეფორმები“.
6. ,,სამოქალაქო განათლება ყველასთვის“ www.civiceducation.ge
7. ,,საქართველოს ისტორია „ ავტორები - მერაბ ვაჩნაძე , ვახტანგ გურული, მიხეილ ბახტაძე ;
8. საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ www.matsne.ge
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება №226, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. www.matsne.ge

10. საქართველოს კანონი ,,საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ www.matsne.ge

11. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №53 http://police.ge

12. ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი“www.matsne.ge

13. ,,საბაჟო დეპარტამენტის დებულება https://www.rs.ge

14. ,,საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელება http://rs.ac.ge

15. ხუციშვილი ქ., „სახელმწიფო საზღვრები“ ალმანახი №9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 1999 .